კათოლიკური ეკლესიის პირველი ინდიელი წმინდანი A3

14 ეტლი და... ვინ იცის, რამდენი ინვალიდი ბავშვი A3

IBM-ი 3.5 მილიარდ დოლარად ყიდულობს PricewaterhouseCoopers-ს A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 2002 წელი. №60

ფასი 50 თეთრი

# რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს აგრესიაში ადანაშაულებს

## რუსი სამხედროები საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის მთიანი ლანდშაფტის მიწასთან გასწორებას აპირებენ

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსმა კონსტანტინ ტოცკიმ 31 ივლისს კრემლში ვლადიმირ პუტინს შესჩივლა, რომ ქართული მხარე კარგად იყო ინფორმირებული ბოევიკთა მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შესახებ და სათანადო რეაგირება არ მოახდინა.

ასეთი განცხადების პასუხად, რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში გამოსვლისას, რუსეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ბოევიკთა მოსალოდნელი გარღვევის შესახებ რუსეთი დროულად იყო ინფორმირებული და უნდა გაეთვალისწინებინა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ბოევიკთა მიერ საზღვრის გადალახვას. **"რაც ჩვენს ძალას არ აღემატება, ყველაფერს ვაკეთებთ ტერორისტებთან ბრძოლაში. ჩვენ რომ მათი განადგურება და არასტანდარტულ ვითარებაში მოქმედება შეგვეძლოს, ერთი ხელის დაკვრით მოვუვლიდით ამ პრობლემას, მაგრამ საქართველოს დღეს ეს არ შეუძლია,"** - განაცხადა აბაშიძემ. ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ **"პანკისში სპეცოპერაცია საქართველომ მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა ჩაატაროს."**

რუსეთი რომ საქართველოს ტერიტორიებს პრევენტული მიზნებით ბომბავს, ამას სამხედრო-პოლიტიკური წრეები უკვე აღარ მალავენ; ამას არ მალავს არც თავდაცვის მინისტრი, რადგანაც საქართველოს დიდი ხანია აფრთხილებენ მოსალოდნელ გართულებებზე.

აშშ სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკელ კოლეგას ინფორმაცია მიაწოდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიმდინარე მოვლენებზე. **"თუ საქართველოს ძალა არ შესწევს, დამოუკიდებლად გადაჭრას ეს პრობლემა, მაშინ საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების თანადგომა,"**-განაცხადა ივანოვმა. მისი თქმით, პაუელმა გაიზიარა მოსკოვის ასეთი პოზიცია.


*რუსი ჯარისკაცები საქართველოს საზღვართან*
REUTERS

იგორ ივანოვის მოადგილემ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ვალერი ლოშჩინინმა მოსკოვში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"ანტიტერორისტული კოალიციის წევრმა ყველა სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს რუსეთის სამხედრო ოპერაციას პანკისის ხეობაში. სახეზეა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს ადრე აღებულ ვალდებულებებს, ამიტომ სწორედ მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ შედეგებზე."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავრობის მდორე სხდომამ მოლოდინი არ გაამართლა

სოფიკო ჩხაიძე

**"გამოსვლების მიხედვით და საერთო სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ მთავრობის არც ერთი წევრი არ იმსახურებს იმას, რომ მომავალში სიტყვით გამოსვლამ აღარ მოუწიოს",** -- გაფართოებული მთავრობის სხდომის ბოლოს ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა შეკრებილთ.

მიუხედავად იმისა, რომ, წინასწარი მონაცემებით, მთავრობის სხდომა მკაცრი შეფასებების ფონზე, რიგი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით უნდა დასრულებულიყო, სხდომაზე გაკეთებული პირველი რამდენიმე მოხსენება უკვე იძლეოდა იმის პროგნოზირების საშუალებას, რომ პრეზიდიუმში მსხდომთ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა სხვა დროისთვის გადაედოთ. შესაბამისად, აშკარად წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, აღმასრულებელი ხელისუფლების ექვსი თვის მუშაობის შედეგების შემაჯამებელმა, მთავრობის გაფართოებულმა სხდომამ მშვიდად, მეტიც, მდორედ ჩაიარა. ამგვარი განწყობა უკვე სახელმწიფო მინისტრის გამოსვლაში იგრძნობოდა. სიტუაციის დაძაბვა, როგორც ჩანს, იმდენად არასასურველი იყო, რომ სიტყვით გამოსვლა არ დასცალდა ქონების მართვის მინისტრს, რომლისგანაც სენსაციურ ბრალდებებს ელოდნენ. რაც შეეხება ავთანდილ ჯორბენაძეს, იგი ეკონომიკურ ალმასვლაზე ლაპარაკითა და ციფრებით შემოიფარგლა, თუმცა კი, მისგან საბიუჯეტო გარღვევის მიზეზების შეფასებასა და კონკრეტული დამნაშავეების დასახელებას

გაგრძელება A2 გვერდზე

# კონკრეტიკა ისევ არ არის მოდაში

ინგა ალავიძე

ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ გაფართოებულ თათბირზე მიიწვია სამართალდამცველები და... მოისმინა ის, რაც მასზე უკეთესად არავინ იცის, რასაც, აგერ უკვე 10 წელია, კვირაიასგან, ბაბილაშვილისგან, ქუთათელაძისგან, თარგამაძისგან, უგრეხელიძისგან ისმენდა... ახლა გაბრიჩიძე, ხაბურძანია, ნარჩემაშვილი, გილიგაშვილი, ჭანტურია ალაპარაკა. მთავარ სამართალდამცველებს ექვსი თვის კრიმინალური რეზიუმესთვის 40-40 წუთი დაუთმო.

ყველა ხარვეზი ერთდროულად დაახვავეს ქვეყნის სამართალდამცველებმა. ერთ დღეში ერთბაშად მოვისმინეთ ექვსი თვის მანძილზე მომხდარი ყველა დანაშაული. ის ყველაფერი, რასაც ფრაგმენტ-ფრაგმენტ ყოველდღე ვისმენდით, რითიც, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით გვაშინებდნენ, "გვართობდნენ", გვკვებავდნენ... ერთი სიტყვით, გვაცხოვრებდნენ...

გავიგეთ, რომ: საქართველო კორუფციის ჭაობშია ჩაფლული, განსაკუთრებით, ენერგოსისტემა, რომ ამ "ავადმყოფობამ" ქვეყანა დაღუპა, რომ ყველაფერს მაფია მართავს - საქართველოდან გასული შავი ფული უცხოეთში თეთრდება, რომ პენსიების, დახმარებების და ხელფასების გაცემა დაგვიანდა, რადგან ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული "ვიღაცამ" შეჭამა, რომ "საქგაზმა" ბუნებრივი აირის ტარიფის უკანონოდ გაზრდით მოსახლეობა მოატყუა, უკანონოდ ამოიღო გადასახადი, რითაც სოლიდური თანხა წაგლიჯა ხალხს, რომ საქართველოში ნარკომანია ყვავის, პანკისში ტერორისტები ბუდობენ, ქვეყანაში დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი...

გაგრძელება A2 გვერდზე

მკვლელობა თბილისში A2

იმედდაკარგულ მფლობელებს გატაცებული მანქანები დაუბრუნეს A2

ტერაქტი ისრაელში A3

ერაყის საკითხის გარშემო საერთაშორისო ვითარება იძაბება A3

"ფოლკსვაგენის" პრობლემები: ეკონომიკის ვარდნა თუ იდეების დეფიციტი? A4

"იბერია" მობებაზე გადის A4

დიდი ფინელის დიდი უარი B2

"თანამეგობრული" რეკორდი B2

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | ☁ |
| ბათუმი | 31 | ☁ |
| სოხუმი | 31 | ☁ |
| ფოთი | 31 | ☁ |
| თელავი | 31 | ☼ |
| ზუგდიდი | 32 | ☁ |
| გორი | 29 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1417 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4274 |
| რუბლი | 0.0693 |

# რუსებს საქართველოში სასურველი ლიდერი სჭირდებათ

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში, მკვდარი პოლიტიკური სეზონის მიუხედავად, "სამოქალაქო დებატების" პოლიტიკურმა კლუბმა 31 ივლისს "ალექსანდრ-ჰაუსში" შემაჯამებელი მრგვალი მაგიდა გამართა, რომლის მთავარი თემა იყო "რუსეთის ეროვნული უშიშროების ამოცანები და საერთაშორისო ტერორიზმის გლობალური საფრთხის წინაშე დასავლეთის სტრუქტურებთან რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობა."

რუსმა პოლიტოლოგებმა, პარლამენტის პროპრეზიდენტული პარტიების ლიდერებმა და ცნობილმა პოლიტტექნოლოგებმა გვერდი ვერ აუარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ამ დღეებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის გაანალიზებასაც.

პანკისის ხეობის მიდამოებში რუსეთის ავიაციისა და სასაზღვრო-ფედერალური სამსახურის ოპერაციები პოლიტოლოგებმა ამიერკავკასიის რეგიონში ანტიტერორისტული კოალიციის ლოგიკური გააქტიურებით ახსნეს.

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **დიმიტრი როგოზინმა** ასეთი მოსაზრება გამოთქვა: **"ვერ ვიტყვი, რომ შევარდნაძეში გაიღვიძა საკუთარი ქვეყნისადმი პასუხისმგებლობის გრძნობამ, მაგრამ ფაქტია, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის გარკვეულმა ძალებმა აიძულეს, გადაეხედა ჩეჩენი ტერორისტებისადმი ადრე გაცხადებული საკუთარი ოდიოზური შეხედულებისთვის."**

დებატების შემდეგ როგოზინმა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთი მოსაზრებაც გამოთქვა: **"შევარდნაძეს არავითარი კავშირი**

გაგრძელება A3 გვერდზე

# „სპარტანული" გაკვეთილი

B2



*ბაბუნაშვილი იბრძვის, მაგრამ...*
REUTERS

# სოლომონ პავლიაშვილის რევანში გაურკვეველი ვადით გადაიდო

## ედუარდ შევარდნაძე: "იქ, სადაც ფულის ინტერესია, "იტერაც" კარგია"

გიორგი კალანდაძე

გუშინ სკანდალების მოსურნეთა მოლოდინი, რომ მთავრობის სხდომაზე მინისტრები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, პრეზიდენტი კი ერთ-ორ მაღალი რანგის ჩინოვნიკს პოსტს დაატოვებინებდა, არ გამართლდა. ედუარდ შევარდნაძემ აღიარა, რომ საკადრო გადაწყვეტილებების მისაღებად ჯერ მზად არ არის.

**"ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას სახელმწიფო მოხელეებში გაბატონებული დაუსჯელობის სინდრომი. თითოეულმა ჩინოვნიკმა უნდა იგრძნოს, რომ მან, შეიძლება, პასუხი აგოს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვისაც",** - განაცხადა მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა, ვლადიმერ უგულავამ, რომელმაც თავისი გამოსვლის ტექსტის შინაარსი სხდომამდე ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტს შეუთანხმა. უგულავამ მოითხოვა სატყეო დეპარტამენტის უფროსის, გივი ჯაფარიძის, ასევე, თბილისის მთავარი არქიტექტორისა და დედაქალაქის მიწის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა გააკრიტიკა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილიც: **"რჩება შთაბეჭდილება, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა ბოლომდე ვერ გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში".**

გაგრძელება A4 გვერდზე

# ძველი ეზოს ახალი მეპატრონე

თამარ მაისურაძე

გუშინ სასტუმრო "აფხაზეთის" გვერდით მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობამ ვაჟაფშაველას გამზირი გადაკეტა. პოლიციაც იქვე იყო. მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამდა თავისი კორპუსის წინ, ეზოში დაწყებული მშენებლობის გამო. ეს ამბავი ახალი არ არის - ამ დაპირისპირების შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით. როგორც რაიონის ინსპექტორი ილია ყურძელაშვილი ამბობს, "ეზოში ორ თუ სამსართულიანი ობიექტი სათანადო ნებართვით, სათანადო პროექტით შენდება. ამის გამო კორპუსის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ." იქვე მეორე პოლიციელი მოსახლეობას რჩევას აძლევდა: "ასეთი წივილ-კივილით ვერაფერს გააწყობთ, გირჩევნიათ, სასამართლოს მიმართოთ."

პოლიციელები დაცვის სამსახურის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. ისინი მშენებარე ობიექტის მეპატრონემ, ყოფილმა მოჭადრაკემ თამაზ გიორგაძემ ეზოს სადარაჯოდ დაიქირავა. "ჩვენთან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დადოს კონტრაქტი, გადაიხადოს შესაბამისი თანხა და აიყვანოს როგორც პირადი, ისე ობიექტების დაცვა", - გვითხრა სამსახურის უფროსმა რევაზ პაიჭაძემ. შეკრებილები ამ სამსახურის წარმომადგენლებს მუქარასა და შეურაცხყოფაში სდებდნენ ბრალს. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, ეს უკანასკნელნი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 საზოგადოება

B1 სტილი B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის იგორ ივანოვის მიერ საქართველოს ქაშმირთან შედარებას რუსული მხარის მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებული დაბომბვების პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობად აფასებს.

ბრუნეიში ასუანის ქვეყნების სამიტში მონაწილეობის მისაღებად ჩასულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა პანკისის ხეობაში უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების შეფასებისას, საქართველო ქაშმირს შეადარა და პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარებაში საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ჩაბმის აუცილებლობის შესახებ განცხადება გააკეთა.

მენაღარიშვილის აზრით, აღნიშნული "არაკორექტული შედარებებით" ივანოვი შეეცადა, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის დაბომბვაზე რუსეთისთვის პასუხისმგებლობა აეცილებინა.

"თუ ვინმემ უნდა აგოს პასუხი მეზობელი ქვეყნის მიმართ აგრესიულ ქმედებებზე, ეს სწორედ რუსეთია," - აცხადებს მენაღარიშვილი. საგარეო უწყების ხელმძღვანელი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუს მესაზღვრეებსა და ჩეჩენ მებრძოლებს შორის მომხდარ შეტაკებებს რუსეთი საქართველოს მიერ მის მიმართ განხორციელებულ აგრესიად მიიჩნევს, რაც "ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებაა".

შეკითხვაზე, მოჰყვა თუ არა პანკისის ხეობის დაბომბვასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ საერთაშორისო თამანეგობრობისადმი მიმართვებს გამოხმაურება, მენაღარიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების განცხადება გაეროს მხოლოდ გუშინ საღამოს გაეგზავნა. რაც შეეხება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი რეაქცია საქართველოს მიმართვებზე ჯერჯერობით უცნობია, ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციები "საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებიან".

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვასილი პრიზემლინმა უარყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს ბრალდება რუსი მშვიდობისმყოფელების იარაღით ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ.

"ყველა მსგავსი ბრალდება უაზროა, რადგან საქართველოს უშიშროების სამინისტროს არანაირი ფაქტები არ მოჰყავს", - უთხრა ვასილი პრიზემლინმა პრაიმ-ნიუსს.

მისი თქმით, ყოველთვიურად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლის თანდასწრებით მშვიდობისმყოფელები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებულ იარაღს აღწერენ და მისი "დაკარგვის" ფაქტები არ დაფიქსირებულა.

უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ოთხშაბათს გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, რომ "რუსეთის სამშვიდობო ძალები არის ის საწყისი ბუდე, საიდანაც იარაღის გატანა და ვაჭრობა ხდება".

*პრაიმ-ნიუსი.*

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის მთავრობის და შეიარაღებული ძალების სარდლობის რწმუნებულის წარმომადგენლობის რამდენიმე დღის წინ გაუჩინარებული თანამშრომლის, თბილისში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქის იგორ ზაიცევის შესახებ უშიშროების სამინისტროსათვის ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განუცხადა.

ამასთან, უშიშროების მინისტრმა მიანიშნა, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემებით, ზაიცევი გულით იყო ავად და არაფერია გამორიცხული.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განუცხადა, ზაიცევის გატაცების ან მკვლელობის ვერსიებზე საუბარი ჯერჯერობით შეუძლებელია.

რუსი ოფიცრის თანამშრომელთა თქმით, იგორ ზაიცევი შაბათს დღისით ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბიდან ვაკის რაიონში დედასთან აპირებდა წასვლას.

მოწმეთა ჩვენებით, 52 წლის პოლკოვნიკი ზაიცევი გასულ შაბათს შტაბის შენობიდან გავიდა, რის შემდეგაც მისი კვალი ქრება, თქვა ნარჩემაშვილმა.

საჯარისო დაჯგუფების შტაბის ინფორმაციით, საავადმყოფოებისა და მორგების შემოწმება უშედეგოდ დასრულდა.

მომხდარ ფაქტს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიცია იძიებს.

პოლკოვნიკი იგორ ზაიცევი ისნის რაიონში მეუღლესა და შვილთან ერთად ცხოვრობდა.

*პრაიმ-ნიუსი.*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სექტემბერში 4-5 დღიანი არაოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება, სადაც ჭოროხის ხეობაში დაგეგმილი კაშხლის მშენებლობის მიდამოებში განლაგებულ ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლებს დაათვალიერებს.

ბურჯანაძემ ეს განცხადება ოთხშაბათს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ სხდომაზე მთავრობისაგან განმარტებები მოითხოვა - ემუქრებათ თუ არა ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლებს განადგურება თურქეთის აღნიშნულ ტერიტორიაზე კაშხლის მშენებლობისას.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს თურქეთში ამ ქვეყნის ხელისუფლებისაგან დაპირება მიიღო, რომ კაშხლის მშენებლობა საფრთხეს არ შეუქმნიდა ქართულ ძეგლებს, თუმცა ამაში დასარწმუნებლად მშენებლობის რაიონში იგი თავად გაემგზავრება.

თავის მხრივ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე თქვა, რომ თურქეთი, როგორც საქართველოს მეგობარი ქვეყანა, კეთილგანწყობილია მის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების მიმართ. ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, თავის დროზე მან დაპირება მიიღო, რომ კაშხლის მშენებლობით ეს ძეგლები არ დაზარალდებოდა.

*პრაიმ-ნიუსი.*

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას საქართველოს მოქალაქის, მწყემს ლევან თილიძის სიმამაცის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ამის შესახებ, როგორც პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან იტყობინება, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა ალექსეი გრომოვმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა ასე აღნიშნა ქართველი მწყემსის მიერ გამოჩენილი "სიმამაცე და თავდადება სამოქალაქო ვალის შესრულებისას".

ლევან თილიძე ქართველი მწყემსია, რომელმაც რუს სამხედროებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მხრიდან რუსეთის ტერიტორიაზე ბოევიკების შეჭრის მზადების შესახებ.

ოთხშაბათს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორთან კონსტანტინ ტოცკისთან შეხვედრაზე ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ საქართველოს რიგით მოქალაქეებს რუსეთისადმი უკეთესი დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე ოფიციალურ ხელისუფლებას.

პრეზიდენტის კითხვაზე, იცოდა თუ არა ქართულმა მხარემ ბანდფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში გადასვლისთვის მზადების შესახებ, კონსტანტინე ტოცკიმ დადებითი პასუხი გასცა.

ამასთან, იგი დაეყრდნო ოპერატიულ მონაცემებს და ქართველი მწყემსის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

*პრაიმ-ნიუსი.*

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი მმართველ ხელისუფლებას სამშობლოს ღალატსა და რუსეთთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიაში ადანაშაულებს.

წერეთელი მიესალმება 29-30 ივლისს მთა-თუშეთისა და პანკისის ხეობის მიდამოების რუსული ვერტმფრენების მიერ დაბომბვისთვის ქართული მხარის მიერ მიცემულ მკვეთრად უარყოფით შეფასებას. ამ ფონზე მისთვის გაუგებარია, რატომ არ გამოცხადდა რუსეთი "აგრესორად რვა წლის წინ, როცა საქართველოს აფხაზეთი წაართვა".

"როცა რუს აგრესორს აფხაზეთში სამშვიდობოს სტატუსს ანიჭებ, არ უნდა გქონდეს იმის იმედი, რომ რომელიმე უცხოური ქვეყანა ოფიციალურ მოსკოვს აგრესორად განიხილავს," - განმარტა წერეთელმა.

უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების მიერ მუდმივად პანკისზე საუბარსა და ამ ფონზე აფხაზეთის პრობლემის დავიწყებას წერეთელი აფხაზეთის რუსეთისთვის საბოლოოდ გადაცემის თაობაზე ხელისუფლების ოფიციალურ მოსკოვთან გარიგებას უკავშირებს და პრეზიდენტ შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხს სვამს, რომელიც, მისი თქმით, მოსკოვის პერმანენტულ აგრესიას აქტიურად უწყობს ხელს.

საქართველომ რუსეთის პერმანენტულ აგრესიას, პირველ რიგში, დიპლომატიური იარაღი უნდა დაუპირისპიროს და გაერო-ში, ეუთო-ში, ევროსაბჭოში და ნატო-ში, როგორც დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სახელმწიფომ, მოსკოვის აგრესიის საკითხი უნდა დასვას, - განაცხადა დღევანდელ პრესკონფერენციაზე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა.

*ინტერ-პრესი.*

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთ-საქართველოს საზღვრის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მონაკვეთზე რუსი დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსი კორნელი სალია კოდორის ხეობაში გაემგზავრნენ.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცნობით, აღნიშნულ მონაკვეთზე "გარკვეული ჯგუფი" რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლას ცდილობდა. დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის ცნობით, რუსი მესაზღვრეები მარუხის უღელტეხილის მიდამოებში საქართველოს ტერიტორიაზე 5 კმ-ის სიღრმეში არიან შესულნი.

მოგვიანებით დესანტმა საქართველოს ტერიტორია დატოვა. რუსეთის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობასთან მარუხის უღელტეხილზე შეხვედრის შემდეგ დავით თევზაძემ განაცხადა, რომ მომხდარი "გაუგებრობა" იყო.

*ინტერ-პრესი.*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ მის უწყებას არ გააჩნია ინფორმაცია ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ადგილსამყოფელის შესახებ.

მისი თქმით, რამდენიმე თვის წინ რუსლან გელაევი ნამდვილად იმყოფებოდა პანკისის ხეობაში, თუმცა, ამჟამად საქართველოში მისი ყოფნის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მტკიცება გელაევის რაზმის პანკისის ხეობიდან ჩეჩნეთში არგუნის ხეობის რაიონში გადასვლის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

"ჩეჩნეთის ამ საზღვრისპირა რაიონში ბოევიკების ბევრი ფორმირება გადაადგილდება, და არ არის გამორიცხული, რომ ფედერალური ძალების მიერ ბლოკირებული რაზმი სწორედ ერთ-ერთი ამ ფორმირებათაგანია", უთხრა პრაიმ-ნიუსს ვალერი ხაბურძანიამ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს სპეცსამსახურები აგრძელებენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას რუს კოლეგებთან, მათ შორის, პანკისის პრობლემის გადასაწყვეტად.

*პრაიმ-ნიუსი.*

# მთავრობის მდორე სხდომამ მოლოდინი არ გაამართლა

პირველი გვერდიდან

ელოდნენ. უკვე ის ფაქტი, რომ ჟორბენაძემ აღარაფერი თქვა ძალოვან მინისტრებზე, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინ ბიუჯეტის ჩავარდნას აბრალებდა, ნარჩემაშვილისა და ხაბურძანიასთვის საპრეზიდენტო გარანტიებით უზრუნველყოფაზე მეტყველებს. სამაგიეროდ, შეფარული დარტყმის ობიექტად იქცა თავად სახელმწიფო მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის რამდენიმეწუთიანი მოხსენება თითქმის ერთადერთი გახლდათ მთავრობის სხდომაზე, რომელშიც პესიმიზმის ნოტებმა გაიჟღერა. ნინო ბურჯანაძის პესიმიზმის საფუძველს სწორედ მთავრობის წევრთა ოპტიმიზმითა და კმაყოფილებით სავსე მოხსენებები წარმოადგენდა, რომელთა შინაარსიცა და პათოსიც ასე მიამსგავსა პარლამენტის თავმჯდომარემ წინა წლებისას. სახელმწიფო მინისტრის დაუსახელებლად დაიწუნა ბურჯანაძემ მისი მოხსენების ზოგადი ხასიათი და აღიარა, რომ მისგან წინააღმდეგობრივი ციფრების წარმოდგენას კი არა, კონკრეტული პასუხისმგებელი პირების დასახელებასა და სიტუაციის გამოსწორების გზების დასახვას ელოდა. ხელისუფლებაში წლების მანძილზე აპრობირებულ გადაბრალების ხერხს კი იგი მმართველობის კრიზისს მიაწერს.

**"ყველამ იცის, ყველა ამბობს, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა შესაცვლელია, მაგრამ ეს ლაპარაკი წლიდან წლამდე ლაპარაკად რჩება. კარგია, რომ უკვე მივაღწიეთ საკადრო ცვლილებების განხორციელებას, რაც გარკვეული პერიოდის მანძილზე შეუძლებლად გვეჩვენებოდა. ახლა იგივე სიტუაციაა სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და, ცხადია, პარლამენტის მიერ წამოწეულ მინისტრთა კაბინეტის თემაზე საუბრობს, რაც ასე არ ხიბლავს ჟორბენაძეს. მას მთავრობის რეორგანიზაციის საკუთარი გეგმა აქვს, რომელიც სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილების გაზრდას გულისხმობს. თვით პრეზიდენტის პოზიცია სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით ცნობილია — ან მინისტრთა კაბინეტის მისეული მოდელი, ან, სამინისტროების შემცირება-გაერთიანების ხარჯზე, მთავრობის რეორგანიზაცია. სხვათა შორის, რეორგანიზაციის საწყის ეტაპად იგი გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან გაერთიანებას მიიჩნევს და, მისი თქმით, ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს.

ნინო ბურჯანაძეს კი გუნდურობის პრინციპი მიაჩნია მნიშვნელოვნად.

**"დღესაც და ფრაქციებთან შეხვედრის დროსაც ჟორბენაძემ დაადასტურა, რომ სტრუქტურული ცვლილებები აუცილებელია. აქედან გამომდინარე, უკვე აღმოიფხვრა საფუძველი იმისა, რომ ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მიერ სტრუქტურულ ცვლილებებზე საუბარში რაღაც ქვეტექსტები და ვინმეზე ზეწოლის მცდელობა ეძებონ. დღეს სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობაზე უკვე ყველა საუბრობს. მაგრამ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები გუნდურობის პრინციპს გულისხმობდეს, რადგან ეს დამკვიდრებულ ტრადიციას - პრობლემების ერთმანეთისთვის გადაბრალებას გამორიცხავს",** - ამბობს ნინო ბურჯანაძე, რომელიც ურთიერთბრალდებების ფონზე აღნიშნავს, რომ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლაზე ლაპარაკი ისეთივე ილუზიაა, როგორც სხვა მრავალი.

**"კორუფციასთან ბრძოლა ჩვენში ბუღალტრისა და მოლარის მხილებამდეა დაყვანილი, ისევე, როგორც კონტრაბანდასთან ბრძოლას იმას უწოდებენ, საზღვარზე ტვირთის გადმოტანისთვის მძღოლებს რომ აპატიმრებენ. არადა, კორუფციას აქვს თავისი განმარტება და ნიშნავს ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, ანგარების მიზნით. ვერავინ დამისახელებს ერთ თანამდებობის პირს მაინც, რომელსაც კორუფციისთვის პასუხისგება მოთხოვეს",** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ბურჯანაძის მიერ დარღვეული სიმშვიდე საქართველოს პრეზიდენტმა აღადგინა, რომელმაც ისედაც მშვიდად მსხდომი მინისტრები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ არავის გათავისუფლებას არ აპირებდა და, ჟორბენაძის მიერ დასახელებული ციფრების გამოყენებით, საქართველო იდეალურობამდე ჯერ ვერმიღწეულ, მაგრამ ახლოს მყოფ ქვეყნად დაგვისახა.

მარუხის უღელტეხილზე დესანტის გადმოსმა და, ფაქტობრივად, ომის გამოცხადების საშიშროება კი ედუარდ შევარდნაძემ რუსი მესაზღვრეების შეცდომად და უკვე ამოწურულ ინციდენტად მიიჩნია.



*პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის დიალოგი*

ბესო გულაშვილის ფოტო

*სამართალი*

# კონკრეტიკა ისევ არ არის მოდაში

### გენერალურმა პროკურორმა მასმედიას თითი დაუქნია

სამართალდამცველთა გამაფრთხილებელ განცხადებებს, ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ, უკვე 7 წელია, ვისმენთ. ძალოვანთა ინფორმაციებით, მოსალოდნელი "რაღაც არეულობა" წელსაც შემოდგომაზე იგეგმება. გუშინდელ გაფართოებულ თათბირზე ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაცია გენერალურმა პროკურორმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა და პროკურატურის მიერ "ჩავლებული" დიდი დამნაშავეც დაასახელა - მთავარი ამრევის სტატუსი თავისუფალ პრესას მრისხანე მონოლოგის ფონზე უბოძა: **"თავისუფალი პრესით მიმდინარეობს პროკურატურის გეგმაზომიერი დისკრედიტაცია, დარტყმა პროკურატურაზე განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გაძლიერდა. მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ ქვეყანაში დესტაბილიზაციას და უწესრიგობის აღსაკვეთად დაუღალავად ვიბრძოლებთ,"** — ასეთი პირობა მისცა პრეზიდენტს მასმედიაზე განრისხებულმა მთავარმა პროკურორმა.

### საქართველოდან გასული შავი ფული უცხოეთში თეთრდება

**"საქართველოს სერიოზული თანამდებობის პირებსა და ბიზნესმენებზე მოგვეპოვება სერიოზული მასალები, რომ ისინი ამერიკაში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში სასტუმროებისა და კაზინოების აშენებით არიან დაკავებულნი, სადაც საქართველოდან დიდი რაოდენობით გასული შავი ფული თეთრდება. საზღვარგარეთ საქართველოდან ძალიან დიდი ფული გადის..."** — განაცხადა გენერალურმა პროკურორმა, რომელიც, პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, კარგა ხნის მანძილზე რუკაზე ეძებდა წყნარი ოკეანის კუნძულზე მდებარე ერთ-ერთ ქალაქს, სადაც საქართველოდან გასული დიდძალი ფული გათეთრდა.

ხანგრძლივი გეოგრაფიული და სამართლებრივი ექსკურსის შემდეგ, პროკურატურამ იმ საბანკო ანგარიშებსაც მიაგნო, რომელთა მეშვეობითაც შავი ფულის გასათეთრებლად სოლიდური ოპერაციები ტარდებოდა. თუმცა, გენერალურმა პროკურორმა დამნაშავე ძალიან მაღალი თანამდებობის პირებისა და ბიზნესმენების დასახელებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

### სამართალწარმოების სტატისტიკა

ნუგზარ გაბრიჩიძის ინფორმაციით, გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილმა ბოლო ექვს თვეში 26 მსხვილი კორუფციული საქმე გამოიძია. საერთოდ კი გახსნილია 8 ათასზე მეტი საქმე.

რამდენიმე დღის წინ უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა მადნეულის, "საფოსტო ბანკის", "ელექტროკავშირის" კორუფციული საქმეები. ასევე პანკისის ხეობაში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების, თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძისა და დეპუტატ მახალდიანის მკვლელობის საქმეები. პროკურატურამ 180 საქმე ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების მიმთვისებლებზეც აღძრა. **"პენსიებსა და დახმარებებს სახელმწიფო მოხელეები ითვისებენ,"** — ამბობს მთავარი პროკურორი.

**"გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება დასრულდა. შეკრებილია უტყუარი მტკიცებულებები და საქმე მალე სასამართლოში გაიგზავნება,"** — კიდევ ერთხელ კატეგორიულად განაცხადა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

შს მინისტრის სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: 6 თვეში რეგისტრირებულია 8 ათას 797 დანაშაული. ლიკვიდირებულია 494 კრიმინალური დაჯგუფება, მათ შორის, 94 განსაკუთრებით საშიში ბანდა, რომელმაც 251 მძიმე დანაშაული ჩაიდინა. დასრულდა 133 სამოხელეო დანაშაულის გამოძიება. საბრალდებო დასკვნა დაიწერა ეკონომიკური დანაშაულის 831 საქმეზე, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ქვეყანამ 6 თვეში 23 მილიონის ზარალი ნახა. შსს-მ ნარკომანიის ფაქტებზე 930 საქმე გამოიძია, 1200-ზე მეტი ნარკოდამნაშავე პასუხისგებაში მისცა და 100 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღო.

შს მინისტრმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ასანიძეების, თურქაძეების, დოლაბერიძის კრიმინალური დაჯგუფებები და თბილისში, იმერეთსა და სამეგრელოში მოქმედი ბანდები, სხვა გახმაურებული საქმეები, რომელთა გახსნაც შსს-ში მისულმა ნარჩემაშვილის გუნდმა შესძლო.

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია პრიორიტეტს ტერორიზმთან ბრძოლას ანიჭებს და მისი უწყების მიერ ურეკში ჩატარებულ სპეცოპერაციას - ფედერალური ძებნილის, დეკუშევის დაპატიმრებას, საჩვენებელ ოპერაციად მიიჩნევს.

უშიშროების მინისტრის ანგარიშის მთავარი თემა იარაღით უკანონო ვაჭრობა გახდა. ვალერი ხაბურძანიამ რუსეთის სამშვიდობო ძალები იარაღით ვაჭრობაში დაადანაშაულა. **"რუსეთის სამშვიდობო ძალები არის ბუდე, საიდანაც იარაღის გატანა და ვაჭრობა ხდება. სხვანაირად, იარაღის ტიპი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე დღის წინ დაკავებულ წარმომადგენელს, გიორგი მამარდაშვილს და უშიშროების ნატახტრის საგუშაგოსთან დაკავებულ თანამშრომელს, სიმონ მჭედლიძეს ჰქონდა, ვერ მოხვდებოდა საქართველოში,"** — განაცხადა მინისტრმა.

**"იარაღით ვაჭრობა არ დაწყებულა ბოლო პერიოდში, იგი პერმანენტულად ვითარდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ლუდკოვი საქართველოში რამდენიმე თვის მანძილზე 16-ჯერ ჩამოვიდა. ის საქართველოში ისტორიული ძეგლების სანახავად არ დადიოდა, იარაღით ვაჭრობდა,"** — ამბობს ვალერი ხაბურძანია.

### კრიმინალი, რომლის წინაშეც ძალოვანები უძლურნი არიან

სამართალდამცველები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ყველაზე გავრცელებული კრიმინალი - უცხოელ მოქალაქეთა წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულობები ქვეყნის დისკრედიტაციის მიზნით ხდება. ამის დასტურად უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ გატაცებული ინგლისელის, პიტერ შოუს მაგალითი მოიყვანა. მისი განცხადებით, თუ ადამიანთა გატაცებისას, საერთოდ, ორი ჯგუფი მოქმედებს ხოლმე - შემსრულებლისა და მიმღების, ინგლისელი შოუს გატაცებაზე სამი ჯგუფი მუშაობდა - შემკვეთის, შემსრულებლისა და მიმღების.

უშიშროებისა და შს მინისტრები პიტერ შოუს საქმეს, ფაქტობრივად, გახსნილად თვლიან და აცხადებენ, რომ საქმეში სერიოზული წინსვლაა.

თუმცა, მათი ოპერატიული ინფორმაციები ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია და უცხოელი მძევლის დაუყოვნებლივ გათავისუფლება გატაცებულის სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვის გამო არ ხერხდება. გერმანელი დროეგეს, პიტერ შოუსა და ლევან კალაძის საქმეები გენერალურმა პროკურორმაც გაიხსენა და განაცხადა: **"ყველა რეზონანსული საქმე ჯერჯერობით გაუხსნელია."**

### ანტიკორუფციული საბჭო პროკურატურას მუშაობის სტილს უწუნებს

გენერალური პროკურორის მიერ დასახელებულ საქმეთა გახსნის სტატისტიკას მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა, ვლადიმერ უგულავამ პროკურატურა საქმეების გაფუჭებაში დაადანაშაულა. **"პროკურატურას გადაეგზავნა არაერთი გახმაურებული კორუფციული საქმე, კონტროლის პალატისა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ მოკვლეული მასალები, მაგრამ სათანადო შედეგით არც ერთი მათგანი არ დასრულებულა. თუ გინდათ, რომ საქმემ დღის სინათლე არ ნახოს, აუცილებლად პროკურატურაში უნდა გადააგზავნო,"** — განაცხადა ვლადიმერ უგულავამ. ნუგზარ გაბრიჩიძემ ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის ბრალდება კატეგორიულად უარყო: **"რაც მე გენერალური პროკურორი ვარ, მაკონტროლებელი ორგანოებისგან ერთი მასალაც არ შემოსულა პროკურატურაში,"** — ასე იმართლა თავი გენერალურმა პროკურორმა.

ასეთი კრიმინალური ანგარიში ჩააბარეს პრეზიდენტს კანონდამცველებმა და ქვეყანაში არსებული საგანგაშო კრიმინალური სიტუაციის ფონზე, თავიანთი საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს.

# იმედდაკარგულ მფლობელებს გატაცებული მანქანები დაუბრუნეს

ქართველმა სამართალდამცველებმა რუს კოლეგებთან თანამშრომლობა გააქტიურეს. შესაბამისად, შედეგიც სახეზეა – აქ, თბილისში, ვლადიკავკაზელ ძებნილებს აკავებენ, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში კი, საპასუხო ჟესტად, საქართველოდან გატაცებულ მანქანებს პულობენ. თანაც, ამ მანქანათაგან ერთ-ერთი, არც მეტი, არც ნაკლები, 7 წლის წინაა გატაცებული. როგორც ცნობილია, თბილისიდან - ცხინვალამდე, იქიდან კი ჩრდილოეთ ოსეთამდე გზა ის მარშრუტია, რომელსაც ხშირად ადგებიან მანქანების გამტაცებლები, გატაცებული მანქანებიანად. ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთისა და ქართველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად ორი გატაცებული მანქანა იქნა მოძიებული. ერთი 1995 წელსაა გატაცებული და თავის დროზე თბილისელ ზურაბ აღნიაშვილს ეკუთვნოდა, მეორე 2001 წელს "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან მოსტაცეს დავით ავალიშვილს. როგორც აღმოჩნდა, ამ უკანასკნელის მანქანა, გატაცებიდან თითქმის ექვსი თვის შემდეგ, ცხინვალში უცნობი პირისგან იყიდა ჩრდილოეთ ოსეთის მოქალაქემ, ვინმე ქრისტინა სააკიანმა.

მოძიებული მანქანები უკვე პატრონებს დაუბრუნდათ – საეჭვოა, მათ ამის იმედი კიდევ ჰქონოდათ. ახლა ორი ქვეყნის სამართალდამცველები ერთობლივად მუშაობენ გამტაცებელთა ვინაობის დადგენასა და მათ დაკავებაზე.

# მკვლელობა თბილისში

გუშინ თბილისში, დეპოს ქუჩაზე მკვლელობა მოხდა. კანონდამცველთა ინფორმაციით, მერაბ მაისურაძემ გულ-მკერდის არეში დანით დაჭრა მეზობლები - მიხეილ ბროძელი და ეთერ ტატიშვილი. მძიმედ დაჭრილი მიხეილ ბროძელი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მერაბ მაისურაძე შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ბროძელის მკვლელობის საქმეს პროკურატურა იძიებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლექვავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს აგრესიაში ადანაშაულებს

## რუსი სამხედროები საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის მთიანი ლანდშაფტის მიწასთან გასწორებას აპირებენ

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსი დიპლომატების ასეთ პოზიციას ამ დღეებში მხარს უმაგრებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაც, რომლის თანახმადაც საქართველოში რუსეთის სამშვიდობო მისიის დასრულება ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია. უფრო მეტიც, **"მასში დამატებითი ძალების მოზიდვაა საჭირო, როცა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში საეთრაშორისო ტერორისტების შეჭრა სერიოზულ აგრესიად აღიქმება,"**-ამბობს ლოშჩინინი.

რუსეთის პოლიტიკური ელიტის ერთსულოვან განცხადებებს არც პარლამენტის ზედა პალატის სპიკერი სერგეი მირონოვი ჩამორჩა , რომელმაც ხაბაროვსკში ყოფნისას რუს ჟურნალისტებს უთხრა, რომ **"საქართველოს ხელისუფლებას დამოუკიდებლად არ შეუძლია საერთაშორისო ტერორისტებთან გამკლავება და მას დახმარება სჭირდება."** მირონოვი ამტკიცებს, რომ თბილისში ყოფნისას, მას მიაწოდეს ინფორმაცია იმ დღეებში რუსლან გელაევის საქართველოს დედაქალაქში ყოფნის შესახებ.

პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის ირგვლივ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში არნახული ერთსულოვნებაა. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო აქციას სათანადო პროპაგანდისტული ფონი ახლავს, რასაც რუსულ პრესასა და ტელევიზიაში საქართველოს აგრესიის თავიდან აცილების აქცია ჰქვია. ასეთი ლოგიკით რუსეთი ამტკიცებს, რომ საქართველომ რუსეთს ომი გამოუცხადა, რაშიც ჩეჩენი და არაბი დაქირავებულები დაიხმარა.

ასეთ თვალსაზრისს იზიარებენ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მაღალი ჩინებიც, რომლებიც ჟურნალისტებთან საუბარში ადასტურებენ, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სახელმწიფო უშიშროებას დიდი საფრთხე ემუქრება.

რუსი მესაზღვრეები 31 ივლისს უარყოფდნენ ცხინვალ-ფასანაურის მიმართულებით რუსეთის სასაზღვრო ავიაციის გამოყენებას. მოსკოვში ჟურნალისტები სვამენ ასეთ შეკითხვასაც: საქართველო თვითონ ხომ არ ახორციელებს საკუთარი ტერიტორიების დაბომბვას? ამაზე რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახური ასეთ პასუხს იძლევა: **"საქართველომ აღიარა, რომ მის ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტები იმყოფებიან, საქართველო რუსეთთან ერთად ანტიტერორისტული კოალიციის წევრია, ამიტომ არ არის გამორიცხული, ამ ქვეყნის ავიაციაც აქტიურად მოქმედებდეს."**

რუსმა მესაზღვრეებმა ჟურნალისტებს გააცნეს ფედერალური ძალების დანაკარგები. ისინი ამტკიცებენ, რომ საომარი ოპერაციების დროს 8 რუსი მესაზღვრე დაიღუპა, 60 ბოევიკიდან 28 მოკლულია, ხოლო დანარჩენებმა ალყის გარღვევა მოახერხეს. მესაზღვრეების ინფორმაციით, ყარაჩაევოში გადასული ბოევიკთა 45-კაციანი ბანდა იქ მყოფი რუსი ალპინისტების მძევლად აყვანას შეეცადა.

რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების ანტიქართულ ისტერიას ბანს აძლევს აფხაზეთის ე.წ. უშიშროების მინისტრიც, რომელიც ამტკიცებს, რომ **"დაქირავებულ ბოევიკებს პანკისიდან საქართველოს ხელისუფლება ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად კოდორის ჩრდილოეთ მთიანეთში მიერეკება."** აფხაზეთის დაზვერვა ასევე იუწყება, რომ **"კოდორის ხეობის ზედა ნაწილში უკვე იმყოფებიან არაბი დაქირავებულები, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც საკუთარ სახლში და ქართველი მესაზღვრეები და სამხედროები ტერორისტებს წინააღმდეგობას არ უწევენ..."**

ჩრდილოეთ კავკასიის კონტრტერორისტული სამმართველოს ოპერატიული შტაბის უფროსი შაბალკინი აცხადებს, რომ განადგურებულია ბოევიკთა ნახევარზე მეტი. იგი არ მალავს, რომ ტერორისტების ერთმა ჯგუფმა ალყა გაარღვია და ისინი დღეს გროზნოში იმყოფებიან. შაბალკინის მტკიცებით, გელაევის რაზმი დღითიდღე ახალი ბოევიკებით ივსება. რუსი სამხედრო ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთში, საქართველოს გამო, ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია იწყება. ამის არდაშვებას რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების აზრით, საქართველოს მთიანი ლადშაფტის გასწორება სჭირდება, რასაც რუსეთის ავიაცია პრაქტიკულად ახორციელებს და, თუ ქვეყნის პირველი პირების განცხადებებით ვიმსჯელებთ, ლოგიკურ დასასრულამდე ანტიტერორისტული ოპერაციის შეჩერებას არ აპირებს.

# რუსებს საქართველოში სასურველი ლიდერი სჭირდებათ

გაგრძელება A3 გვერდზე

**არ აქვს საქართველოში ბოლო დროს მომხდარ მოვლენებთან. ამ პრობლემის ფესვები და მიზეზები საქართველოში დღეს არსებულ იმედგაცრუებაშია - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობის გამო. რუსეთი დღეს არ უნდა ჩაერიოს საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში. შევარდნაძის შემდგომი ეტაპი საქართველოში თვისობრივად განსხვავებული იქნება, თუკი ქართველი პოლიტიკოსები მოინდომებენ მოსკოვთან თვისობრივად ახლებურ დიალოგს."**

რუსი პოლიტოლოგის სერგეი მარკოვის თქმით, **"საქარველოში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება მაღალ დონეზე გადაწყდა, რაშიც რუსეთის პრეზიდენტმა დიდი როლი ითამაშა ძველი პლეადის პოლიტიკოსის, შევარდნაძის დაყოლიებაში."** მარკოვს საქართველოში პოლიტიკური პროცესების მომავალზე ასეთი შეხედულება აქვს: **"საქართველოში ახალი პოლიტიკური ლიდერის როლში მოსკოვისათვის გამოსადეგია ყველა, ვინც კი რუსეთისადმი მტრულ პოლიტიკას არ გაატარებს. ასეთ როლში ედუარდ შევარდნაძეც განიხილება, თუ იგი, ამერიკასთან ერთად, რუსეთთან მთელ რიგ საგარეოპოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში სტრატეგიულ პარტნიორობაზე უარს არ იტყვის. მითუმეტეს, რომ ამისი კარგი მაგალითი საქართველოს, მეზობელი სომხეთის სახით, წინ უძევს. სომხეთში რუსეთისადმი მტრულ პოზიციებს არ ავლენენ."**

საკუთარი კოლეგების ოპტიმიზმს არ იზიარებს პოლიტოლოგი სერგეი კარაგანოვი, რომელიც, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე საუბრისას, ირონიულ ღიმილს ვერ მალავს და "24 სააათისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს:

**"სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე სუსტი სახელმწიფოა და უახლოეს მომავალში იქ შეიძლება უმართავ პროცესებსაც ველოდოთ."** კარაგანოვი ამტკიცებს, რომ **"ჩეჩნეთისა და საერთაშორისო ტერორისტებისადმი ორმაგი პოზიციის გამო, შევარდნაძემ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გადაკიდება მოახერხა, რაც, შეიძლება, აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლებაში ისევ დეტონატორად მოგვევლინოს."**

თავისი მოსაზრება გაგვიზიარა პოლიტტექნოლოგმა გლებ პავლოვსკიმაც:

**"ელცინის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. მოსკოვს დღემდე ვერ უპატიებია რუსეთის პირველი პრეზიდენტისათვის სტამბოლის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა, რითიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობას დიდი საფრთხე დაემუქრა. დღეს პუტინს ელცინის მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება სურს, თუმცა, კარგად ესმის, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის დასავლეთის მიერ დაფინანსებული პროცესი შეუქცევადია. ამ პროცესის დროში გაწელვას კრემლი ყველანაირად შეეცდება. ამ პერიოდში იგი სავიზო რეჟიმს საქართველოსთან არ გააუქმებს და საზოგადოებისა და პოლიტიკური ოპოზიციის უკმაყოფილებით შევარდნაძის რეჟიმს შეარყევს. ამის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოში ავტორიტარიზმი გამეფდეს, მისი თანმხლები არასასიამოვნო შედეგებით."**

"24 საათს" საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციაზე საკუთარი შეხედულება გაუზიარა რუსმა პოლიტოლოგმა იგორ ბუნინმა:

**"სერიოზული კატაკლიზმების გავლის შემდეგ, საქართველო მაინც შექმნის მმართველობის დემოკრატიულ სისტემას, სადაც ურაპატრიოტული რიტორიკის მქადაგებელთათვის ადგილი აღარ დარჩება. თუკი თქვენთან მოვლენები რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის ტონის შეცვლით განვითარდება, შეიძლება მალე საქართველოში დღევანდელი რუსული პოლიტიკური ელიტისათვის ხელსაყრელი ხელისუფლება მოვიდეს, რომელიც ანგარიშს გაუწევს, რომ აფხაზეთის პრობლემის მოხსნა და საქართველოდან ბანდიტების განდევნა მოსკოვთან შეთანხმებით უნდა მოხდეს, რაშიც ტონის მიმცემი კრემლის დღევანდელი პოლიტიკა იქნება."**

უცხოეთი

# ტერაქტი ისრაელში

გუშინ, ადგილობრივი დროით 1 საათსა და 40 წუთზე მორიგი ტერაქტი მოხდა ისრაელში. ტერორისტების სამიზნე ამჯერად იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი აღმოჩნდა. ამ უმაღლესი სასწავლებლის კაფეტერიაში მომხდარი აფეთქების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეული დაიჭრა. მართალია, არდადეგების გამო უნივერსიტეტში სწავლა არ მიმდინარეობდა, მაგრამ საზაფხულო კურსებზე იქ ბევრი უცხოელი სტუდენტი იმყოფებოდა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა "ჰამასმა" აიღო, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობისათვის ისრაელზე შურისძიებას კვლავაც განაგრძობს.

სხვებთან ერთად, ტერაქტი დაგმო პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა არაფატმაც, თუმცა, მან ძალადობის ესკალაციაში ისრაელის პრემიერი შარონი დაადანაშაულა.



# კათოლიკური ეკლესიის პირველი ინდიელი წმინდანი

რომის პაპმა ამერიკის კონტინენტზე ვიზიტი დაასრულა და როგორც ამბობენ, საბოლოოდ გამოემშვიდობა თავის კანადურ და ლათინო-ამერიკულ სამწყსოს. პარკინსონის დაავადება და ართრიტი, საპატიო ასაკთან ერთად, ექიმების ვარაუდით, მას ხანგრძლივი მოგზაურობის საშუალებას აღარ მისცემს.

გვატემალასა და მექსიკაში ყოფნის დროს, იოანე-პავლე II - მ ორ ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. მან პირველი ლათინო-ამერიკელი და პირველი ინდიელი წმინდანის კანონიზაცია მოახდინა. პირველი წითელკანიანი წმინდანი - ხუან დიეგო მექსიკელთა ერთ-ერთ უმთავრეს რელიგიურ და ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენს. XVI საუკუნეში სწორად მან იხილა მუქკანიანი ღვთისმშობლის ხატება, სასწაული, რომელმაც მილიონობით მექსიკელი მოაქცია კათოლიკურ რწმენაზე. მოგვიანებით ამ ხატებას "გვადალუპეს ღვთისმშობელი" უწოდეს და იგი ქვეყნის უმთავრეს სიწმინდედ და სიმბოლოდ იქცა. მის კანონიზებას გარკვეული უთანხმოება ახლდა თან, რადგან, ოპონენტების მტკიცებით, არავითარი ხუან დიეგო არ არსებულა, მაგრამ მექსიკელთა დიდმა უმრავლესობამ პაპის მიერ ინდიელი წმინდანის კანონიზაცია მათი ქვეყნის მიმართ პატივისცემის გამომჟღავნებად მიიჩნია.

პირველი ლათინო-ამერიკელი წმინდანობის პატივი, დიეგოზე ერთი დღით ადრე, კანონიზებულ ფრანცისკანელ ბერს, პედრო დე სან ხოსე ბეტანკურს ერგო, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც ციხის მოძღვარი და ღარიბებისა და გაჭირვებულების დიდი გულშემატკივარი. გაჭირვებულებისადმი დახმარება სწორედ ისაა, რაც გაღატაკებულ გვატემალაში, სადაც მოსახლეობის (ძირითადად, მაიას ტომის ინდიელები) 85 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ყველაზე ძვირად ფასობს. ამ ქვეყანაში ვიზიტისას პაპი სწორედ ღარიბებისადმი თანაგრძნობასა და სოციალურ სამართლიანობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში სწორედ ეს თემები გახდება კათოლიკური ეკლესიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგანაც წმინდა საყდრის მრევლის უმრავლესობა უკვე განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში, ძირითადად, მოსახლეობის გამრავლების გამო, ვატიკანის სამწყსო ყველაზე სწრაფად იზრდება. სოციალური თემები კი სწორედ ისაა, რაც ჩამორჩენილ ქვეყნებში მცხოვრებ მრევლს ყველაზე ძალიან აინტერესებს. გარდა ამისა, სოციალურ თემებზე აპელირებით ლათინური ამერიკის ქვეყნებში სხვადასხვა ევანგელისტური სექტები სწრაფად იკრებენ მომხრეებს.

"ეკლესია სწრაფად უახლოვდება იმ მიჯნას, რომლის იქითაც იგი არაევროპულ ეკლესიად იქცევა, – ამბობს პოლ ვოკი, რომის წმინდა ჯვრის უნივერსიტეტის პროფესორი, – შემდეგი პაპი, მიუხედავად მისი წარმოშობისა, არაევროპელების პაპი იქნება". ბევრი იმასაც არ გამორიცხავს, რომ შემდეგი მწყემსმთავარი ლათინური ამერიკიდან იყოს. როგორც ამბობენ, კარგი შანსები აქვთ კოლუმბიის, ბრაზილიის, ჰონდურასისა და კუბის არქიეპისკოსებს.

ამავე დროს, ევროპელ კათოლიკეთათვის სულ სხვა საკითხებია მნიშვნელოვანი. უფრო და უფრო აქტუალური ხდება ქალების მღვდლებად კურთხევისა და ეკლესიის მიერ ჰომოსექსუალიზმისა და შობადობის კონტროლისადმი დამოკიდებულების შეცვლის თემები. ბევრი კათოლიკე მოითხოვს, რომ ქალებსა და ჰომოსექსუალისტებს მღვდლობის ნება დართონ. მართალია, ამას კათოლიციზმთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ანგლიკანური ეკლესიის ახალი საჭეთმპყრობელი, კენტერბერის ახალი არქიეპისკოპოსი სწორედ ამ ლოზუნგებით მოვიდა ინგლისის ეკლესიის სათავეში. მორწმუნეთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს რომის ეკლესიის მიერ კონტრაცეპტივების გამოყენების აკრძალვა და განქორწინების შეზღუდვა.

რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკას, აქ რომის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენა პედოფილიის სკანდალმა, რომელშიც ბევრი სასულიერო პირი აღმოჩნდა გარეული.

აღსანიშნავია, რომ ახლანდელი პაპი კონსერვატული შეხედულებებით გამოირჩევა და ეკლესიის ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციებში, ისევე როგორც ოჯახის სიწმინდეზე გაკეთებულ აქცენტში, ცვლილებების შეტანას არ აპირებს. როგორც ვატიკანთან დაახლოებული ხალხი ამტკიცებს, ნაკლებად მოსალოდნელია, შემდეგმა პაპმა ეკლესიის პოზიცია რადიკალურად შეცვალოს.

სხვათა შორის, ვატიკანმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, იოანე პავლე II გადადგომას არ აპირებს. ამიტომ კარდინალთა კონკლავი, რომელმაც ახალი პაპი უნდა აირჩიოს, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიმართება.

# ერაყის საკითხის გარშემო საერთაშორისო ვითარება იძაბება

უკანასკნელ დღეებში გავრცელებულმა ინფორმაციებმა აშშ-ს მიერ ერაყის წინააღმდეგ შესაძლო დარტყმების განხორციელების შესახებ, სერიოზული საერთაშორისო მღელვარება გამოიწვია. კერძოდ, აღნიშნული საკითხი საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფო მეთაურების შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა. სამშაბათს გერჰარდ შრიოდერმა და ჟაკ შირაკმა განაცხადეს, რომ ისინი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე აშშ-ს ერაყზე თავდასხმას მხარს არ დაუჭერენ.

"აშშ-ს შეტევა ერაყზე გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ აქციას მოიწონებს გაერო-ს უშიშროების საბჭო. ასეთია გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით," - თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სამიტის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. შრიოდერის განცხადებით, გერმანიის სამხედრო ძალები მონაწილეობას მიიღებენ ამ აქციაში, თუ მათ ექნებათ გაერო-ს მანდატი და ბუნდესტაგის თანხმობა. შირაკის თქმით, მას იმედი აქვს, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი რეალისტურად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და, საერთაშორისო სანქციების მოხსნის სანაცვლოდ, გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებს ერაყში შესვლის ნებას დართავს. "ვფიქრობ, ერაყის ხელისუფლებას კარგად ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ქვეყნისათვის გაეროს გენერალურ მდივანთან შეთანხმების სასწრაფოდ მიღწევა," - განაცხადა შირაკმა. პრესკონფერენციის დასასრულს გერმანიის კანცლერმა დასძინა: "ამერიკის პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ ჩვენთან კონსულტაციების გარეშე არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. მე არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო მის სიტყვებში".

ერაყში აშშ-ს შესაძლო შეჭრამ შეაშფოთა თურქეთის ხელისუფლებაც. კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევითის განცხადებით, თურქეთი ცდილობს, გადააფიქრებინოს ვაშინგტონს ერაყში სამხედრო ოპერაციის განხორციელება.

აშშ არ მალავს თავის განზრახვას სადამ ჰუსეინის დამხობის შესახებ. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ვაშინგტონს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად სჭირდება რეგიონში მისი სტრატეგიული მოკავშირის - თურქეთის თანხმობა და მხარდაჭერა.

საგულისხმოა, რომ თურქეთის ასეთი შეშფოთება, ძირითადად, ვაშინგტონში ერაყის ოპოზიციური დაჯგუფებების მიწვევამ განაპირობა, რომელთა შორისაც ქურთული მოძრაობის ლიდერებიც არიან. თურქეთის სამხედრო ისტებლიშმენტი შიშობს, რომ მის საზღვრებთან ახლოს ქურთული ფაქტორის ამოქმედება ერაყის წინააღმდეგ, თავად თურქეთის შიგნით ქურთული სეპარატიზმის გაძლიერებას გამოიწვევს.

ერაყის ირგვლივ შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს ცნობები ერაყის წინააღმდეგ ომისათვის ისრაელის აქტიური მზადების დაწყების შესახებ. რუსული მასმედიის ცნობით, ისრაელმა თხოვნით მიმართა აშშ-ს, რომ ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე ვაშინგტონმა თელ-ავივი რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილოს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ძველი ეზოს ახალი მეპატრონე

პირველი გვერდიდან

"ქალები უფრო აქტიურები ვართ, რადგან ამათ უნდათ, ჩვენი ეზოს ბიჭები და კაცები პროვოკაციაზე წამოაგონ. აქ ვცხოვრობთ, აქ გავზარდეთ შვილები, მაგრამ ყველაფერს გვისპობენ. გიორგაძე ამბობს, სავაჭრო ცენტრი უნდა ავაშენოო, მაგრამ გავიგეთ, რომ კაზინოს აშენებას აპირებს", - აცხადებს მარინა ბართაია. მისი მეზობლის, თაკო ბაკურაძის თქმით კი, თამაზ გიორგაძეს მისთვის და მისი მეზობლისთვის სასამართლოში უჩივლია. "აქეთ გვიჩივლეს, თითქოს ვკიოდით და მუშებს ვემუქრებოდით. დღესაც ვიკივლე და კიდევ ვიკივლებ. პატარა შვილები გვყავს, სად უნდა ითამაშონ ბავშვებმა? მიწისძვრის მერე, ნგრევააო, მითხრეს და სახლიდან გამომასახლეს. ამ ობიექტის მშენებლობა რომ დაიწყება, რა მოუვა ჩვენს სახლს?" – აღშფოთებას ვერ მალავს მცირეწლოვანი შვილის დედა. მისთვის ეზოს ახალ მეპატრონეს უთქვამს, ეს ტერიტორია ფირმა "პირამიდასგან" შევიძინეო.

თავად თამაზ გიორგაძე აცხადებს, რომ ობიექტის ასაშენებლად ყველა საბუთი აქვს. "ეს მშენებლობა კანონიერია. საბუთები სახელმწიფო ექსპერტიზამაც შეამოწმა. თუ მათ ჩემს მიმართ რაიმე პრეტენზია აქვთ, შეუძლიათ, სასამართლოს მიმართონ, რადგან ეს არის ცივილური გზა. ჩვენ რატომ არ გვკითხეო, რომ მეუბნებიან, რა შუაშია მოსახლეობა? საქართველოში რატომ აქვს ხალხს პრეტენზია, რომ ყველას ყველაფერი უნდა ჰკითხო? თუ არა და, თბილისი მუზეუმად გამოვაცხადოთ, სადაც აღარაფერს ავაშენებთ", – გვითხრა მან და დაუმატა: "მე საზღვარგარეთ ვცხოვრობდი და სხვანაირად ვუყურებ ცხოვრებასო." როგორც თავად გიორგაძე აცხადებს, აქ კომერციული ცენტრის აშენებას აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ ვაჟა-ფშაველას № 29 სახლის მცხოვრებნი სასამართლოს მიმართავენ, ძველი ეზოს ახალი მეპატრონე იმედს იტოვებს, რომ ამ ქალაქში კანონი იკანონებს. "ჩემზე ძალიან ბევრი ილოცებს, ეგენიც და სხვებიც", - გვითხრა მან.



დაცვის სამსახურის წარმომადგენელი
იური ლობოდინის ფოტო

# პარასკევიც გათენდება

ეთერ მამულაშვილი

"დღევანდელი ჩვენი აქციით გვინდა, ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ, მათ გარდა, ამ ქვეყანაში ჩვენნაირი უნარშეზღუდული ხალხიც ცხოვრობს, რომ, ჩვენ - უსინათლოები და ყრუ-მუნჯებიც, ამ სახელმწიფოს ისეთივე მოქალაქეები ვართ, როგორც სხვა დანარჩენები. ნუ ავიწყდებათ, რომ ხელისუფლება ხალხისთვის არსებობს და არა პირიქით", - განაცხადა გუშინ სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართულ აქციაზე საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარემ რევაზ მაისურაძემ.

"მოგვეცით საარსებო მინიმუმი უსინათლოებს", "ნუ გვართმევთ ქონებას", "შეღავათები ინვალიდებს" - ეს არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი, უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე, დღევანდელ ხელისუფლებას უყენებს, რის შესახებაც "24 საათი" სისტემატურად წერდა.

სახელმწიფო კანცელარიის წინ გუშინ, დილით, დაახლოებით ორმოცდაათი უსინათლო და ყრუ-მუნჯი მოქალაქე შეიკრიბა. ისინი იმ საგადასახადო შეღავათების გაუქმებას აპროტესტებენ, რომლითაც წლების მანძილზე სარგებლობდნენ.

წინა დღეს კი მათ ხელმძღვანელობას ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი შეხვდა. ის შეპირდა, რომ პარასკევს სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს მათთან ერთად შეხვდებოდა, სადაც გადაწყვეტენ, წართმეული შეღავათების სანაცვლოდ, რას მისცემენ ინვალიდებს. "დაველოდოთ პარასკევს, ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ. არავის ეგონოს, რომ იოლად მოვტყუვდებით და ძველებურად გადაგვაყლაპებენ უპერსპექტივო დაპირებებს. ჩვენი დღევანდელი შეკრებაც მათი გაფრთხილებაა. თუ რეალურს არაფერს დაგვპირდებიან, სექტემბერში ნახავენ, რა ძალა აქვს ჩვენს კავშირს", – განუცხადა "24 საათს" ინვალიდთა ლიგის თავმჯდომარემ გიორგი ძნელაძემ.

კანცელარიასთან შეკრებილ უსინათლო და ყრუ-მუნჯ მოქალაქეებს იმედი არა აქვთ, რომ მათი შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან ინვალიდებს რაიმე სასიკეთოს მოუტანს. "რას მოგვცემენ? ხომ ხედავთ, იქით გვართმევენ. უნდათ, ხალხის ნაშრომი ჩაიჯიბონ. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პარასკევსაც რაღაცას დაგვპირდებიან", - გვითხრა უსინათლო ემზარ ლომთათიძემ.

ინვალიდები სოციალური შეღავათების დაწესებასაც მოითხოვდნენ. 55 წლის ევგენია შაბაშოვი პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდია. მას, ყოველთვიური ოცდაორლარიანი დახმარების გარდა, შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. "უსინათლო ადამიანები, რომლებიც ბუნებისგან ყველაზე მეტად ვართ დაჩაგრულები, ჩვენდამი უყურადღებობამ და გაუსაძლისმა ცხოვრებამ გამოგვიყვანა ქუჩაში, ელემენტარულ შეღავათებს ვითხოვთ. რატომ უნდა ვიხდიდეთ სახელმწიფო ტრანსპორტში ფულს? ტელეფონის სააბონენტო გადასახადი მაინც მოგვიხსნან?! რა ვქნათ, ქუჩაში სამათხოვროდ ხომ ვერ გამოვალთ?!" – თქვა შაბაშოვმა.



აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# 14 ეტლი და... ვინ იცის, რამდენი ინვალიდი ბავშვი

ქეთი ქადაგიშვილი

ამერიკაში მცხოვრებმა ნანა ანდრონიკაშვილმა და მისმა მეუღლემ პრინც ჰანს ფონ საქსენ ალტენბურგმა საქართველოში მცხოვრები ინვალიდი ბავშვებისთვის 14 ეტლი ჩამოიტანეს. ამ ეტლებიდან 8 ცალი ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრის "თანადგომის" ინვალიდ ბავშვებს გადაეცემათ, ხოლო დანარჩენი რაიონებში განაწილდება. ტვირთი საქართველოში ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქველმოქმედებს საქართველოს საბაჟოზე სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ფინანსთა მინისტრის ხელმოწერით ეტლები, როგორც ჰუმანიტარული ტვირთი, უფასოდ უნდა გამოეტარებინათ, თუმცა, საბაჟოს თანამშრომლებმა საბუთი ყალბად მიიჩნიეს და თანხის გადახდა მოითხოვეს. დიდი ბრძოლის შემდეგ ქველმოქმედებმა მებაჟეებს თავი კი დააღწიეს, მაგრამ საბაჟოზე კარგა ხანს მოუხდათ ყურყუტი. ქართველი მებაჟეებისგან განსხვავებით, ამერიკის საბაჟოს თანამშრომლებმა ტვირთი უპრობლემოდ გამოატარეს.

"თანადგომაში" მათი საჩუქარი იმდენად გაეხარდათ, რომ საბაჟოზე განცდილ წვალებად ნამდვილად ღირდა. ბავშვები ამ ეტლებს სასექტემბროდ მიიღებენ. "თანადგომის" ხელმძღვანელები ეტლებს განსაკუთრებით გაჭირვებულ ინვალიდ ბავშვებს გადასცემენ. "ერთ-ერთი გოგონა მშობლებს ველოსიპედისგან გამოძერწილი ეტლით დაჰყავთ. ბავშვი თვითნაკეთი "ეტლიდან" ზოგჯერ ვარდება. ამ ეტლებიდან ერთი მას შეხვდება", – გვითხრეს "თანადგომის" ხელმძღვანელებმა.

ინვალიდი ბავშვების მდგომარეობაზე მათგან კიდევ უამრავი რამ შევიტყვეთ. "თანადგომა", ამერიკული ორგანიზაცია "მერფი ქორფის" დახმარებით, ინვალიდ ბავშვებს კვირაში ორჯერ სპეციალური ტრანსპორტით გადაადგილებით, სხვადასხვა გასართობითა და სასწავლო გაკვეთილებით ემსახურება. ამჟამად ორგანიზაციაში 28 ბავშვი დაჰყავთ. ამ პატარების არსებობის შესახებ "თანადგომის" თანამშრომლებმა კერძო პირებისგან შეიტყვეს, რადგან ისინი არც ერთ სამედიცინო დაწესებულებაში აღრიცხულები არ იყვნენ. მშობლებს შინ გამოეკეტათ. ეტლის უქონლობის გამო, ზოგი მათგანი წლების განმავლობაში ქუჩაში არ გამოსულა. გარეთ გამოსვლის შემდეგაც უამრავი პრობლემა ექმნებათ. სახელმწიფოს მათთვის სპეციალური ტრანსპორტის შეძენაზე ჯერ არ უზრუნია. ამასთან, თბილისში ძნელად ნახავთ შენობას, რომელსაც ინვალიდისთვის განკუთვნილი შესასვლელი ჰქონდეს. ამის გამო ბავშვები ღონისძიებებზე ვერ დაგვყავს. ინვალიდი ბავშვების მშობლები განსაკუთრებულ პრობლემებს სკოლებში აწყდებიან. ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების ხელმძღვანელები მათი შვილების მიღებაზე ხშირად კატეგორიულ უარს ამბობენ - ინვალიდი ბავშვის უსაფრთხოებაზე პასუხს ვერ ვაგებთო. ქალაქის მერს ვთხოვთ, გამოსცეს განკარგულება, რომელიც სკოლის ხელმძღვანელებს ინვალიდი ბავშვის მიღებაზე უარის თქმას აუკრძალავს", - აცხადებს ორგანიზაციის კოორდინატორი ნანა გეგელიშვილი.

როგორც "თანადგომის" თანამშრომლებისგან შევიტყვეთ, 182-ე სკოლის დირექტორმა 12 წლის ლევანს დაინვალიდების შემდეგ სასწავლებელში დაბრუნების უფლება არ მისცა. ინვალიდი ბავშვის მიღებაზე უარს აცხადებს მე-40 სკოლის ხელმძღვანელობაც.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ამ ბავშვების ბედი ჯერჯერობით არ ადარდებს. "თანადგომის" ხელმძღვანელობისთვის დახმარებაზე ქალაქის მერიასაც უარი განუცხადებია. "მერფი ქორფის" დახმარება კი წლის ბოლოს იწურება. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ისევ უცხოელი სპონსორების იმედად არის.

**გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პროექტი: სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმის ხელშეწყობა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობებზე:**

1. იურისტი

ფუნქცია: თანამრჩეველი სამართლებრივ და იურიდიულ საკითხებში. თანამშრომლობა უცხოელ ექსპერტებთან და მათი მხარდაჭერა. ადგილობრივ პარტნიორებთან ურთიერთობების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გერმანულ და ინგლისურ ენაზე თარგმნა. თანამშრომლობა ბიუროს ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებში.

სავალდებულოა გერმანულ და რუსულ ენაზე იურიდიული ტერმინოლოგიის სრულფასოვანი ცოდნა. გერმანიაში მიღებული იურიდიული განათლების გამოცდილებით.

კომპიუტერის ცოდნა. კომუნიკაბელურობა.

მზადყოფნა სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში – სომხეთსა და აზერბაიჯანში) მივლინებისათვის.

2. თარჯიმანი

ფუნქცია: სამართლებრივი ტექსტებისა და კორესპონდენციის თარგმნა გერმანულ, რუსულ, ქართულ ენებზე. სემინარების მსთვლელობისას თანმიმდევრული თარგმანი.

სავალდებულოა გერმანული და რუსული ენის სრულყოფილი ფლობა, განსაკუთრებით სამართლებრივ ტერმინოლოგიაში.

კომპიუტერის ცოდნა. კომუნიკაბელურობა.

მზადყოფნა მივლინებებისათვის, განსაკუთრებით საქართველოს ფარგლებში.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 8.08.2002

მისამართი: უშანგი ჩხეიძის ქ. N 9. ტელ: 99 93 77, 99 77 64

ეკონომიკა

# სოლომონ პავლიაშვილის რევანში გაურკვეველი ვადით გადაიდო

## ედუარდ შევარდნაძე: "იქ, სადაც ფულის ინტერესია, "იტერაც" კარგია"

პირველი გვერდიდან

ამ განცხადების მიუხედავად, პრეზიდენტს არავინ მოუხსნია და განსაკუთრებულად არც არავინ გაუკრიტიკებია. როგორც ჩანს, მან მთავრობის სხდომის სცენარი სახელდახელოდ შეცვალა. პრეზიდენტმა სიტყვა არ მისცა სოლომონ პავლიაშვილს, რომელიც ერთი კვირის წინ აცხადებდა, რომ ყველა იმ თანამდებობის პირის დასახელებას აპირებდა, რომელიც მას სახელმწიფო წილის მართვაში უშლიდა ხელს.

სხდომას არც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი დასწრებია, რომელსაც ერთი თვის წინ გასხვისებული კომპანია "ინფოკომის" გაყიდვის სკანდალური დეტალები უნდა დაესახელებინა. სააქციო საზოგადოება "ინფოკომის" აქციათა 90-პროცენტიანი პაკეტი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე 350 ათას დოლარად გაიყიდა. საწარმოს ამჟამინდელი მფლობელია შპს "ცენტრინვესტი", რომლის უფროსი მეწილეა (70 პროცენტი) ბადრი პატარკაციშვილი. საწარმოს პრივატიზების თაობაზე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ, გიორგი კარბელაშვილმა. ამ საკითხის პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განხილვის შემდეგ, კარბელაშვილმა გაზეთ "24 საათში" გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც იგი საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლებას სთხოვდა. ღია წერილში იგი აღნიშნავდა, რომ **"რამდენიმე ადამიანის სიხარბის, კორუმპირებულობისა და ღალატის გამო"** კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დარგს სრული განადგურება ემუქრება. ღია წერილის გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი მოადგილის მხარდაჭერის შესახებ მერაბ ადეიშვილმაც განაცხადა.

პრეზიდენტმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა არ სურს.

ერთადერთი კონკრეტული განცხადება, რაც გუშინ შევარდნაძემ გააკეთა, ისაა, რომ იგი მხარს უჭერს ამერიკული წარმომავლობის რუსულ კომპანია "იტერასთან" ერთობლივი კომპანიის ჩამოყალიბებას. **"საშიში სრულებითაც არ არის, "იტერა" რომელიმე ქართულ საწარმოს თუ იყიდის. მთავარია, რომ თბილისის მოსახლეობა გაზს მიიღებს. ისე კი, იქ, სადაც ფულის ინტერესია, "იტერაც" კარგია",** - დასძინა პრეზიდენტმა.

# IBM-ი 3.5 მილიარდ დოლარად ყიდულობს PricewaterhouseCoopers-ს

IBM-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აუდიტორული კომპანია PricewaterhouseCoopers-ის შეძენას აპირებს. როგორც Reuters-ი იტყობინება, გარიგების მოცულობა 3.5 მილიარდ დოლარს შეადგენს. კომპიუტერების მწარმოებელი ფირმის წარმომადგენელთა თქმით, PricewaterhouseCoopers-ი არ გაავრცელებს განცხადებას თავისი აქტივების გასაყიდად გამოტანის შესახებ.

აუდიტორული კომპანიის შეძენის შემდეგ IBM-ის 150 ათასიანი შტატი კიდევ 30 ათასით გაიზრდება. PricewaterhouseCoopers-ის შეძენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ამ კომპანიის რეგიონული ხელმძღვანელების თანხმობაა საჭირო.

# „იბერია" მოგებაზე გადის

ესპანეთის მთავარმა ავიაკომპანია "იბერიამ" განაცხადა, რომ პირველ საგადასახადო კვარტალში მისმა მოგებამ ძირითადი საქმიანობიდან 70 მილიონი ევრო შეადგინა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში "იბერიას" პირველ კვარტალში ასეთი შედეგებისთვის არ მიუღწევია. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, პრაქტიკულად ყველა ავიაკომპანიამ დიდი ზარალი ნახა. შარშან შემოდგომაზე "იბერიამ" კრიზისული გეგმა შეიმუშავა. იგი 2.5 ათასი სამუშაო ადგილისა და რეისების რაოდენობის შემცირებას, რამდენიმე ნაკლებმომგებიანი სალიზინგო კონტრაქტის გაწყვეტას, წელს და გაისად ხარჯების 54-54 მილიონი ევროთი შეკვეცას ითვალისწინებდა. ამ გეგმამ დიდად შეუწყო ხელი კომპანიის მოგებაზე გასვლას. "იბერიამ" შეინარჩუნა პოზიციები ესპანეთის შიდა ბაზარზე. კომპანიამ ბაზრის დამატებით 2.5 პროცენტი მოიპოვა ესპანეთი-ევროპის, ხოლო 1.5 პროცენტი – ესპანეთი - ლათინური ამერიკის მიმართულებებზე. ნაყოფი გამოიღო "იბერიას" თანამშრომლობამ "ბრითიშ ეირვეიზთან". ინგლისელები ესპანური კომპანიის ცხრა პროცენტს ფლობენ. ორივე გადამზიდავი კომპანია შეთანხმდა ერთიან სატარიფო პოლიტიკასა და ძირითადი მარშრუტების ურთიერთსასარგებლო გაყოფაზე.

# „ფოლკსვაგენის„ პრობლემები: ეკონომიკის ვარდნა თუ იდეების დეფიციტი?

გერმანულმა "ფოლკსვაგენმა" წლიური მოგების პროგნოზები ცხრა პროცენტით (ოთხ მილიარდ ევრომდე) გააუარესა. წლის პირველ ნახევარში "ფოლკსვაგენი" იძულებული გახდა, წარმოება რვა პროცენტით შეემცირებინა. ეს შემცირება მსუბუქ ავტომანქანებსა და მსუბუქ სატვირთო მანქანებს შეეხო. ამის მიზეზი დასავლეთ ევროპაში გაყიდვების მოცულობის ცხრა, ხოლო სამხრეთ ამერიკაში 1.4 პროცენტით შემცირება იყო.

წლის მეორე ნახევრისთვის "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არც ისე მაღალი პროგნოზები გაეკეთებინა. მათ თავის ადრინდელ პროგნოზებს გადახედეს, რათა ინვესტორებისთვის ეჩვენებინათ, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა რეალისტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც საბაზრო კონიუნქტურაზე სწრაფად რეაგირებენ. ინვესტორებმა ეს სტრატეგია დააფასეს: "ფოლკსვაგენის" აქციების ფასმა ფრანკფურტის ბირჟაზე ორი პროცენტით მოიმატა.

კომპანიის ხელმძღვანელობა ჩავარდნის მთავარ მიზეზად მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებს ასახელებს. მაგრამ ანალიტიკოსები სხვაგვარად ფიქრობენ. მათი შეფასებით, ამ მდგომარეობამდე კომპანია იდეების დეფიციტმა მიიყვანა. თუ არ ჩავთვლით განახლებულ "ხოჭოს", "ფოლკსვაგენი" მუდმივად ახდენს ჩვეული მოდელების, "გოლფისა" და "პასატის," მოდერნიზებას. ამ დროს კი კონკურენტები (მაგალითად, "პეჟო" და "ფორდი") ბაზარზე პრინციპულად ახალ ავტომანქანებს უშვებენ.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

www.24hours.ge 24 B

# "24 საათის" ჯგუფი კუს ტბაზე გამართულ სეფაში ვერ მოხვდა

## ანუ "თავს მოიკლავს თეთრი გედი ამაღამ"



კონცერტი ფერდობიდან

ბესო გულაშვილის ფოტო

თამარ სეხნიშვილი

კომპოზიტორმა იოსებ ბარდანაშვილმა, რომელიც ამ ორიოდე თვის წინ თბილისში იმყოფებოდა როგორც ფესტივალ "ოქროს იერუშალაიმის" ჟიურის წევრი, ქართული ესტრადის დღევანდელ მდგომარეობას მუსიკალური ქაოსი უწოდა, და ასეთნაირად დაგვიხასიათა: "ქართულ ესტრადაზე უამრავი ახალი მომღერალია, უმრავლესობას სიმპათიური ახალგაზრდა გოგონები წარმოადგენენ. ისინი ლამაზი მანეკენების ფუნქციას ასრულებენ და მათ პროფესიონალიზმზე საუბარი ძალიან გამიჭირდება. მათ შორის ღირსეული ორი-სამი მომღერალი თუ იქნებაო."

იოსებ ბარდანაშვილს არაკეთილმოსურნეობას ნამდვილად ვერ დავწამებთ. ქართულ ესტრადაზე მართლაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა და თუკი პროფესიული ქართული ესტრადა ჯერ კიდევ არსებობს, ეს მერაბ სეფაშვილის დამსახურებაცაა. ამჯერად მერაბ სეფაშვილი კუს ტბაზე წარდგა მსმენელის წინაშე და ღამის სიგრილეში დასიცხული თბილისელებისათვის საზაფხულო კონცერტი გამართა.

სამშაბათ საღამოს კუს ტბაზე ამოსულ ახალგაზრდობასა თუ ძველგაზრდობას ერთი სული ჰქონდა, როდის გაერეოდა არტ-ელიტარულ მარაქაში, უფრო სწორად, როგორ მოხვდებოდა სეფაშვილისთვის ზედ ტბის პირას გაშლილ სეფაში. ხალხი ნამდვილად ბევრი იყო. როგორც ერთმა გამვლელმა შენიშნა, კონცერტზე დასწრების ამდენი მსურველი თბილისში ჩამოსულ ელ ჯეროსაც არ ჰყოლიაო.

მერაბ სეფაშვილის კონცერტზე ამოსულ ბილეთიანთა, მოსაწვევიანთა თუ უბილეთო ცნობისმოყვარეთა ავტომანქანების რიგი ჯერ კიდევ ვაკის სტადიონის მიდამოებიდან იწყებოდა. რა მარკის ავტომანქანას აღარ შეხვდებოდით აქ - საბჭოურ 06-ს, BMW-სა თუ ჯიპ-ჩეროკს. კონცერტი 11 საათზე დაიწყო. სამანქანო ბილიკი ისე იყო გადაჭედილი, რომ ხუთიოდე წუთით დაგვიანებულებსაც კი მანქანის გასაჩერებელი ადგილის პოვნა გაუჭირდათ და თითქმის ფეხით მოუწიათ დანიშნულების ადგილამდე მისვლა. ტბის ასახვევში გამწკრივებული გონებამახვილი ინსპექტორები თუ დაცვის წევრები დროს უქმად არ კარგავდნენ და სახელდახელო ბიზნესიც გაეჩაღებინათ: როგორც გავიგეთ, თითოეულ ამსვლელ მანქანას 2 ლარს ახდევინებდნენ, ზუსტად იმდენს, რამდენიც ორი საათით შეზლონგის გაქირავება ღირს კუს ტბაზე.

მანქანების კოლონას, როგორც იქნა, გავაღწიეთ, კუს ტბის იმ ტერიტორიასაც გავცდით, რომელიც ტბას (და სცენასაც) ზემოდან დაჰყურებს და რომელიც უბილეთოებისთვის სამშაბათ ღამეს მშვენიერ ნავსაყუდელად იქცა - სიგრილე, კოკა-კოლა და მუსიკა (კარგი აპარატურის წყალობით, ხმა აქაც შესანიშნავად ისმოდა). მინდა გითხრათ, რომ მალე ჩვენც უბილეთოთა თავშეყრის ადგილს დავუბრუნდით. დაღმართს რომ დავუყევით და ღია ცისქვეშ გაშლილი სეფისკენ (სცენისკენ) რომ ავილეთ გეზი, დაცვის შავოსანმა ბიჭებმა არცთუ მორიდებულად გადაგვიღობეს გზა. გაწბილებულებმა მიპატიჟებულთა სია მოვითხოვეთ, მაგრამ ასეთი სია რატომღაც არ აღმოჩნდა. კონცერტის ორგანიზატორის, "არტ-იმედისგან" წინასწარ დაიმედებულებს კი ბილეთზე არ გვიზრუნია (ბილეთი 20 ლარი ღირდა). ასე რომ, უკან გამოგვაბუნძულეს. ცოტა ხანს უბილეთოებთან შევჩერდით და საერთო განწყობას დავაკვირდით. დიდებული განწყობა იყო - მხიარულება, სიცილ-კისკისი, მანქანებიდან გადაძახილები... დანარჩენს კი "24 საათის" გუშინწინდელ ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან ("პატარა ტბის დიდი მისია", თამარ მაისურაძე) გეტყვით: "საღამოს საათებში კი კუს ტბაზე შემდეგი ნაკადი, თბილისის ე.წ. ბოჰემა ადის. ნაცნობი სახეები, გამოჩენილი ადამიანები, ვინ აღარ იყრის თავს. ერთ მაგიდასთან სახელმწიფო ჩინოვნიკები სხედან, მეორესთან - გამოჩენილი მომღერლები. გადაჭედილია "ბუნგალო-ბარი". ოფიციანტები მომსახურებას ვერ აუდიან. თბილისის ბოჰემა ბოჰემურად ატარებს დროს. კუს ტბაზე ქეიფი და დროსტარება ღამის 3-4 საათამდე გრძელდება..."

უძრაობის პერიოდის ერთი ლოზუნგი გვახსენდება: "საქართველოში საქმეები კარგად მიდის".

**P.S.** მანქანაში ჩართული რადიო დილის ინფორმაციას იმეორებდა თუშეთის საზღვრისპირა სოფლების დაბომბვის შესახებ.

**P.P.S.** რას ვიზამთ, მერაბ სეფაშვილს ამ შაბათს "მეალომანიაში" მოვუსმენთ.

# ცხინვალის ტრიპტიქონი კრისტის აუქციონზე ამოტივტივდა

ნინო ჟანიშვილი

2002 წლის 9 ივლისს საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე თავის მოადგილეებს წერილობითი სახით მიმართავს: "გთხოვთ შეისწავლოთ აღნიშნულ ექსპონატთან დაკავშირებული საკითხები. მივიღოთ კონსულტაციები მუზეუმებიდან; დაუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს..."

საქმე ეხება ცხინვალის მუზეუმიდან მოპარულ მე-10 საუკუნით დათარიღებულ სპილოს ძვლის ტრიპტიკონს. ნივთის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ 1991-92 წლებში დაიკარგა, საქართველო ინფორმაციას მხოლოდ ეხლაღა იღებს. რუსი ეროვნების პირმა, დაახლოებით ერთი წლის წინ, კრისტის აუქციონის ჟენევის ოფისში მიიტანა გასაყიდად ოქონის ტრიპტიკონი. ჟენევის ოფისის ხელმძღვანელობამ, როგორც გასაყიდად გასატან ყოველ ნივთზე, აუქციონის აუცილებელი პროცედურა, ტრიპტიკონის წარმომავლობის დადგენა დაიწყო. პირმა, რომელმაც ნივთი აუქციონზე წარადგინა, განაცხადა, რომ ტრიპტიკონი ვლადიკავკაზში შეიძინა. ამის შემდეგ აუქციონის ხელმძღვანელობას ეჭვი გაუჩნდა მის კანონიერ წარმომავლობასთან დაკავშირებით. საქმეში ექსპერტები და სამართალდამცავები ჩაერთვნენ. გაირკვა, რომ ეს სწორედ ის კარედია, რომელიც 1924 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა. ოფისის ხელმძღვანელობამ ესპერტიზის ჩასატარებლად, ბიზანტიური ხელოვნების ექსპერტს კრასიმირა პლაჩკოვას მიმართა. მან დაადასტურა, რომ ეს არის ბიზანტიური ტრიპტიკონი ცხინვალის მუზეუმიდან, ხოლო გამოძიების ვარაუდს, რომ ნივთი 1991-92 წლებშია მოპარული, ის ამყარებს, რომ 1993 წელს ცხინვალში ტრიპტიკონის შესასწავლად ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე ენტონი კატლერი ჩავიდა და მას ძეგლი ადგილზე აღარ დახვედრია. ოქონის ტრიპტიკონის სააუქციონო პირველადი ღირებულება კრისტის ექსპერტებმა 2 მილიონ აშშ დოლარად შეაფასეს.

ამჟამად ტრიპტიკონი ამოღებულია კრისტის აუქციონის საცავიდან და ჟენევის კანტონის მართლმსაჯულების სასახლეში (Palace de Justice) ინახება. საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ამირან კავაძე, საგარეო საქმეთა და კულტურის მინისტრებს ატყობინებს, რომ ჟენევის კანტონის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტი ამზადებს წერილს, რომელიც საქართველოს შესაბამის უწყებებს გადაეგზავნებათ. ჟენეველი მოსამართლე კაროლ ბარბელი ამბობს, რომ აუცილებელი იქნება საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში გაეცეს პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რომელიც დასმული იქნება შვეიცარიის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილ წერილში, რომ მოხდეს ცხინვალის მუზეუმიდან დაკარგული და ჟენევაში ამოღებული ტრიპტიკონის იდენტიფიკაცია. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ურთიერთსამართლებრივი პროცედურები, რაც ითვალისწინებს: ექვმიტანილი პირის ბრალეულობის დადგენას, ძეგლის საქართველოს ეროვნულ კუთვნილებად ცნობას, მის საქართველოში დაბრუნებას. მაგრამ საეჭვოა, რომ საქართველოს მხრიდან ყველა შეკითხვას გაეცეს პასუხი. შვეიცარია მოითხოვს, რომ ცხინვალის მუზეუმში ჩატარდეს ინვენტარიზაცია, გაირკვეს, შეიცვალნენ თუ არა მუზეუმის თანამშრომლები 1991-92 წლების შემდეგ. როგორც კულტურის სამინისტროში გვითხრეს, სამაჩაბლოში წასვლის პირობას არავინ იძლევა, ხოლო მუზეუმის ინვენტარიზაცია ერთი და ორი დღის გასაკეთებელი საქმე არ არის. დანარჩენი მასალა კი კულტურის სამინისტროში მზადდება, და როგორც კი შვეიცარული მხარე მოითხოვს მაშინვე გადაეგზავნება.



ცხინვალის ტრიპტიკონი

კარედი 1924 წელს ზნაურის რაიონის, სოფელ ოქონის ეკლესიიდან ცხინვალის მუზეუმში გადმოიტანეს. სპილოს ძვლის ტრიპტიკონი ვერცხლითაა მოჭედილი და მასზე ვედრების სცენა და წმინდანებია გამოსახული. ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან (თაყაიშვილი, უვაროვა) მოიხსენიება და იგი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშადაა მიჩნეული. თავად სპილოს ძვლის ტრიპტიკონი მე-10 საუკუნის მიწურულითა და მე-11 საუკუნის დასაწყისით, ხოლო ვერცხლის მოჭედილობა, მასზე ამოკვეთილი წარწერით "ოქონის ხატო, შეიწყალე კათალიკოზი ევდემონ ულირსი, ამინ" მე-17 საუკუნით თარიღდება. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით ოქონის ტრიპტიკონი ბაგრატ IV-ის მეუღლეს, იმპერატორ რომანოზ აგრირიოსის ძმისწულს, ელენე დედოფალს უკავშირდება, ეს სწორედ ის სასწაულმომქმედი ხატი უნდა ყოფილიყო, რომელიც დედოფალმა მზითევად თან წამოიღო ბიზანტიიდან საქართველოში. ცხინვალის მსგავსი სპილოს ძვლის ბიზანტიური ტრიპტიქონები მიუნჰენის ნაციონალურ მუზეუმში, ლუვრში, მეტროპოლიტენ მუზეუმში, ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.

ნივთის საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, იგი რა თქმა უნდა, ცხინვალის მუზეუმს უკან აღარ დაუბრუნდება. მუზეუმის ხელმძღვანელობამ ელემენტარულად არც კი შეატყობინა 10 წლის მანძილზე ცენტრს ნივთის დაკარგვის თაობაზე. კულტურის სამინისტროს ასევე არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია არც აფხაზეთის მუზეუმების შესახებ. ასეთ დროს ალბათ უმჯობესი იქნება, საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული მუზეუმების კოლექციების დედაქალაქში ან სხვა უფრო დაცულ რეგიონებში შენახვა. თუმცა, საბოლოო გამოსავალი არც ეს იქნება - კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 120 მუზეუმის ბიუჯეტს ყოველწლიურად ხომ მხოლოდ 50 ათასი ლარი შეადგენს.

# ჯერი გარსია - 53 + 7 ფსიქოდელიურ სამყაროში



ჯერი გარსია სტუდიაში



ჯერი გარსია



ჯერი გარსია ელვის კოსტელოსთან ერთად

ანიკო ბენაშვილი

**"დაგვტოვა უდიდესმა მუსიკოსმა და არტისტმა. მას ვერავინ შეცვლის. დღეს გარსიას სული ეწვია ჯიმი ჰენდრიქსს, მერვინ გეის, ბილ გრემს, მაილს დევისს, რომლებიც, სამწუხაროდ, ასე მალე წავიდნენ ცხოვრებიდან."**

*კარლოს სანტანა*

ცხოვრების 53 წელი. აქედან 30-ზე მეტი, ცენტრალურ ფიგურად, როგორც საკონცერტო, ასევე ცხოვრებისეულ სცენაზე. გარდა იმისა, რომ საკუთარი პირმშოს - Grateful Dead-ის ლიდერი იყო, ჯერი გარსია ყველა დროის ერთ-ერთ საყვარელ, გულთბილ და პირველ რიგში, საინტერესო მუსიკოსად შევიდა როკ-მუსიკის ისტორიაში. ის ჰიპური ეპოქის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ სან ფრანცისკოს ჰიპურ-ფსიქოდელიური ჯგუფის Jefferson Airplane-ის 60 -იან წლებში ჩაწერილი ალბომების ყდებს გადავათვალიერებთ, რომლებზეც ჯერი გარსია მათ სულიერ მამად მოიხსენიება.

1995 წლის 1 აგვისტოს ჯერი გარსიას 53 წელი შეუსრულდა. რვა დღის შემდეგ კი იგი გულის შეტევით გარდაიცვალა და მთელი ამერიკა გლოვამ მოიცვა. მას ათწლეულების განმავლობაში შეძენილი ათეულ ათასობით თაყვანისმცემელი ჰყავდა, რომელიც Grateful Dead-ს ნებისმიერ საკონცერტო ტურნეში დაჰყვებოდა, იქნებოდა ეს ამერიკაში, ევროპასა, თუ შორეულ აღმოსავლეთში. ყველაზე დიდი პარადოქსი კი ისაა, რომ Grateful Dead- ის მიერ ჩაწერილ 50-ზე მეტ ოფიციალურ, თუ არაოფიციალურ ალბომში, პრაქტიკულად არც ერთი გამოხატული ჰიტი არ არსებობს.

ჯერი გარსიას, როგორც მუსიკოსის კარიერა 1962 წელს დაიწყო, როდესაც მან ბანჯო აიღო ხელში და სხვადასხვა ჯგუფებთან ერთად სიმღერები შეასრულა, ქანთრი-ბლიუზის სტილში. გარსიამ სწორედ ამ პერიოდში გაიცნო მომავალში ჯერ Warlocks-ის, ხოლო შემდეგ კი Grateful Dead-ის წევრები. ბობ უეირი, რონ "რიგპენ" მაკკერნანი, ფილ ლეში. Grateful Dead, რაც ქართულად კეთილშობილ მიცვალებულს ნიშნავს, ძველი ეგვიპტელი ქურუმის სახელი გახლავთ, რომელიც ჯერი გარსიამ ლექსიკონში აღმოაჩინა.

მალე მუსიკოსებს პრეპარატ LSD-ს მწარმოებელი, პროფესიით ქიმიკოსი, ოუსლი სტენლი დაუკავშირდა და დააფინანსა მათი პირველი ნაბიჯები, როგორც სცენაზე, ასევე სტუდიასა და ცხოვრებაში.

ჯგუფის წევრები სან ფრანცისკოს აშბერი სტრიტის 710-ში დასახლდნენ, სადაც იწერდნენ თავიანთ სიმღერებს და კომუნის სახით ცხოვრობდნენ ფანებთან ერთად, რომლებიც მათ არცერთ კონცერტს არ ტოვებდნენ. ფირმა MGM-თან მათი თანამშრომლობა მალე დასრულდა. სამაგიეროდ, Warner Brothers-ს ჯერი გარსია და კომპანია მხედველობის არიდან არ გამოპარვია და 1967 წლიდან დაწყებული Grateful Dead-ის 9 ალბომი გამოსცა. ამავე პერიოდში ჯერი გარსიამ დაწერა მუსიკა მიქელანჯელო ანტონიონის ფილმის Zabriskie Point-ის სასიყვარულო სცენებისათვის.

Grateful Dead-მა Crosby Stills Nash & Young-თან ერთად ამერიკული როკის ისტორიაში პირველმა სრულჰყო ბგერის აკუსტიკური და ელექტრო მხარეები, საჭიროებისამებრ მათი განცალკევების ან გაერთიანების მხრივ და "დაადო" მას ვოკალი, რამაც, საერთო ჯამში, ამერიკული ფოლკი სრულიად ახლებურად, ბლიუზთან შედარებით დაცილებულ პრიზმაში წარმოაჩინა. შეიძლება ითქვას, რომ Grateful Dead-მა თავად ჩამოაყალიბა მუსიკალური და ცხოვრებისეული სტილი, რომელმაც იგი უპრობლემოდ გაატარა, ათწლეულების მანძილზე, ყოველგვარი ჟანრობრივი ზეგავლენის გარეშე, უამრავ თაყვანისმცემელთან ერთად. მოჩვენებითი სტუდიური ერთფეროვნება კი კონცერტებზე ფრთებს უსაზღვროდ შლიდა და საკმაოდ ხშირად 20-წუთიან კომპოზიციებში გამოიხატებოდა. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი ჯერი გარსია გახლდათ.

ცხოვრებაში იგი საკმაოდ მოუსვენარი პიროვნება იყო. Grateful Dead -ის საკონცერტო ტურებს შორის ბეი-არეას ღამის კლუბებში, ნარკოტიკებით გაბრუებულს, სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებთან ერთად ნახავდით. ბავშვობაში დაკარგული თითის მიუხედავად, გარსია შესანიშნავად ფლობდა გიტარას. მისი მუსიკალური მადა განუსაზღვრელი იყო. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად, იგი Grateful Dead-ის დრამერ მიკი ჰარტისა და ლატვიური ფოლკ-გუნდის ერთობლივი პროექტის პროდიუსერი იყო. ასევე ხშირად მართავდა კონცერტებს და აკეთებდა ჩანაწერებს საკუთარ Jerry Garcia Band-თან ერთად.

"შეუძლებელია, გაიზომოს მისი სიდიადე, როგორც მუსიკოსისა და პიროვნების. მას ტოლი ნამდვილად არ ჰყავს. მისი მუსიკა განწყობით აღსავსე და მაჰიპნოზირებელია" - ეს სიტყვები ჯერი გარსიას გამოსამშვიდობებელ ცერემონიალზე მისულ ბობ დილანს ეკუთვნის.

მის სიკვდილს ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი - ბილ კლინტონიც გამოეხმაურა: "ვიმედოვნებ, რომ ვისაც უყვარდა მისი მუსიკა, ნარკოტიკების გამოყენებაში მას არ მიბაძავს. გარსიას ისტორია ახალგაზრდობისათვის ამ მავნე ჩვევის დანახვის საუკეთესო მაგალითია".

Formula 1

## დიდი ფინელის დიდი უარი

პაატა თოთაძე

ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რაოდენ გულდასაწყვეტიც უნდა იყოს საყვარელი საქმის მიტოვება, ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა სხვა გამოსავალი არ გაქვს.

ასეთი დრო, ცოტა ხნის წინ, ფინელ მიკა ჰაკინენსაც დაუდგა. ძნელი სათქმელია, როგორ გაატარებს დარჩენილ ცხოვრებას ჰაკინენი, მაგრამ ფორმულა 1-ში რომ აღარ დაბრუნდება, დანამდვილებით არის ცნობილი.

ერთი წლის წინ, როცა მან აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ განაცხადა, "მაკლარენის" ხელმძღვანელობამ მას სთხოვა, შვებულებაში გასულიყო და ყველაფერი კარგად მოეფიქრებინა. ჩანს, ამ პერიოდში ის კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, რადგან რამდენიმე დღის წინ "მაკლარენის" მედიაცენტრში აჩვენეს ჰაკინენის მიერ ჩაწერილი ვიდეოფირი, რომელშიც ის საზოგადოებას თავისი საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ამცნობდა. "მე არასოდეს დავბრუნდები ფორმულაში", - ასეთი იყო ფინელი პილოტის ბოლო სიტყვები.

მედიასთან ურთიერთობის ასეთი უცნაური ფორმაც ერთგვარად სიმბოლური იყო. ფინელს სურდა, ყველასთვის დაენახვებინა, რომ რბოლების და ძრავების ღმუილის გარეშე თავს მშვენივრად გრძნობს: "თქვენს წინ რომ ვმჯდარიყავი, ალბათ, ვერ შევძლებდი ჩემი გრძნობების გადმოცემას, ამიტომაც ურთიერთობის ასეთი ფორმა ავირჩიე. აქ, ზღვის პირას, ისე, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში. ფორმულა 1-ში მრავალი წელი გავატარე და ყველაფერს მივაღწიე, რაზეც ვოცნებობდი. ვფიქრობ, უკვე წასვლის დრო დადგა".

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ჯერ კიდევ საუბრობდნენ ჰაკინენის შესაძლო დაბრუნებაზე და მისი თანამემამულის, ამჟამად "მაკლარენის" პილოტის კიმი რაიკონენის ტესტ-პილოტად გადაყვანის შესახებ, თუმცა, ახლა უკვე ყველაფერი ცხადია - ჰაკინენის ეპოქა საბოლოოდ დასრულდა. "მაკლარენისთვის" ძველი დიდების დაბრუნებას კი კვლავაც კულჰარდი და რაიკონენი შეეცდებიან.

ველოსპორტი

## იან ულრიხის პრობლემები

მას შემდეგ, რაც ცნობილი გერმანელი ველომრბოლი იან ულრიხი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და ტურ დე ფრანსმა მის გარეშე ჩაიარა, სპორტსმენის იმიჯი მნიშვნელოვნად შეილახა და მისი ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუარესდა.

სანამ ულრიხი ფლორიდაში ცდილობს, ტრავმით და დისკვალიფიკაციით გამოწვეული მელანქოლია გაიქარწყლოს, გერმანიაში მის მომავალს "ადიდასი" და "ტელეკომი" წყვეტენ. ცნობილი გერმანული ფირმა "ადიდასი", რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ულრიხის სპონსორი იყო, ახლა უარს ამბობს მასთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

"ადიდასის" წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ულრიხის მენეჯერს ვოლფგანგ შტრობანდს და განუცხადეს, რომ აღარ სურთ დოპინგის მოხმარებაში მხილებულ სპორტსმენთან ურთიერთობა. ულრიხს "ადიდასთან" 2006 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული და წელიწადში 300000 ევროს იღებდა. თუ "ადიდასი" ულრიხთან აღარ მოინდომებს საქმის დაჭერას, სპორტსმენი სამ მილიონ ევროს დაკარგავს.

ულრიხის ფინანსურ მდგომარეობას მეორე მხრიდანაც ემუქრება საფრთხე: მისი გუნდი, "ტელეკომი", სპორტსმენისთვის ხელფასის შემცირებას აპირებს. თუ ულრიხი ამაზე არ დათანხმდება, მაშინ მას "ტელეკომის" დატოვება მოუწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ულრიხი თავისუფალი აგენტი ხდება და შეუძლია, სხვა გუნდებთან დაიწყოს მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა.

ცურვა

## ფრანცისკას წარმატების საიდუმლო

ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გერმანელი ტოპმოცურავე, სკანდალური ფრანცისკა ვან ალმსიკი ტრიუმფალურად დაბრუნდა სპორტში. 24 წლის ფრანცისკამ, რომელმაც 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე სრული კრახი განიცადა და ავსტრალიელებისგან ზედმეტ სახელად ფრანცი ვან სპეკი მიიღო, ევროპის ჩემპიონატზე საოცარ წარმატებას მიაღწია.

ფრანცისკამ ორ დისტანციაში – 200 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედლები მოიპოვა და მშობლიური ბერლინური პუბლიკა აღაფრთოვანა. ამჯერად გამარჯვებულმა ფრანციმ სხვა სახის ტიტული მიიღო მაყურებლისგან - "ფრანცი ვან სექს"...

ბევრს მიაჩნია, რომ მისი ასეთი წარმატება სწორედ სექსს, უფრო ზუსტად, ახალი ბოიფრენდის, ხელბურთელ შტეფან კრეცშამარის სიყვარულს უკავშირდება. არც ფრანცისკაა წინააღმდეგი, რომ ასე აიხსნას მისი ოქროს მედლები და ხმამაღლა აცხადებს, შტეფანთან მეგობრობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ მისმა სიყვარულმა გამხადა ასე სწრაფი და მსუბუქიო. ორიგინალური ახსნაა, ვერაფერს იტყვი... ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ, ფრანცისკას გარდა, ევროპის ჩემპიონის წოდება ბერლინელმა ტრამპლინიდან მხტომელმა ანკე პიპერმაც მოიპოვა, ოღონდ ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა როლი შეასრულა მისმა ბოიფრენდმა ამ საქმეში.

მძლეოსნობა

## „თანამეგობრული" რეკორდი

მანჩესტერში მიმდინარე თანამეგობრობის თამაშებზე ავსტრალიელმა მოცურავემ იან ტორპმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ამ მანძილის დასაფარავად 19 წლის სპორტსმენს 3 წუთი 40, 8 წამი დასჭირდა. ეს მაჩვენებელი ცხრა მეასედი წამით უკეთესია ტორპის მიერ ადრე დამყარებულ რეკორდზე. ასე რომ, ავსტრალიელმა თავისივე შედეგი გააუმჯობესა.

იან ტორპმა იმ დღეს მეორე ოქროს მედალიც მოიპოვა, ამჯერად - ავსტრალიის ნაკრებთან ერთად, ესტაფეტაში. ახალგაზრდა მოცურავე ამით არ კმაყოფილდება და აცხადებს, რომ კიდევ ხუთი მედლის მოპოვება აქვს დაგეგმილი.

ფეხბურთი

## "სპარტანული გაკვეთილი"

მიხეილ აბაიშვილი

*სკეპტიკოსების ვარაუდი გამართლდა. თუმცა, რაგინდ ოპტიმისტიც არ უნდა ყოფილიყავი, წინდაწინვე ნათელი იყო, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის "ტორპედოს" პრაღის "სპარტასთან" შეხვედრაში, უკეთეს შემთხვევაში, საპატიო ანგარიშით დამარცხების იმედი შეიძლება ჰქონოდა. სამწუხაროდ, ეს იმედიც არ გამართლდა და განმეორებითი მატჩის ჩაუტარებლადაც ნათელია, რომ ლიგისაკენ გზას ამ ტურნირს უკვე კარგად გაშინაურებული ჩეხეთის ჩემპიონი გააგრძელებს.*

ჩემპიონთა ლიგის
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
**"სპარტა" – "ტორპედო"**
**3:0 (2:0)**

**"სპარტა":** სპიტი, დრიგერი, მარეში, პობორჟსკი (პოსპეშილი), ზელენკა, ნოვოტნი, ჰუბშმანი, იაროშეკი, სიომკო, ბარანეკი (ბაზნიში), იუნი.

**"ტორპედო":** სტურუა, დიდავა, თოდუა, კვეტენაძე (ქემოკლიძე), ჯანაშია, ახალკაცი (იონანიძე), პოროშინი, ჭელიძე, ასათიანი, ხვადაგიანი.

**გოლები:** ბარანეკი (7`, 20`), პოსპეშილი (74`)

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ გასული სეზონის "სპარტა". ამ გუნდმა შარშან ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიც კი გადალახა და ლამის ფლეი-ოფსაც უწია. ჩეხებს წელსაც მაღალი მიზნები აქვთ დასახული. თუნდაც ის რად ღირს, რომ "სპარტას" ხელმძღვანელობამ კლუბში დააბრუნა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი კარელ პობორჟსკი. მის გარდა გუნდში ჩეხეთის ნაკრების კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს. ამ ქვეყნის ნაკრებმა კი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ იტალიის ნაკრებს გაუფუჭა ხასიათი, დაამარცხა რა "სკუადრა აძურა" ანგარიშით 1:0.


დავით ახალკაცი და პაველ მარეში REUTERS

ქუთაისის "ტორპედოს" მიღწევები კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეროვნულ სარბიელზე მიღწეული გამარჯვებებით იფარგლება და თუ გავითვალისწინებთ ამ გუნდის, ბოლოდროინდელ სატრანსფერო პოლიტიკას, ვეჭვობ, რომ "ტორპედო" თუნდაც საქართველოს ჩემპიონატში შეძლებს შარშანდელი წარმატების გამეორებას. გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, ძლიერი ცვლა არ მიუღია და კლუბის ხელმძღვანელებს თავი მაინცადამაინც არ შეუწუხებიათ მეტ-ნაკლებად სერიოზული საწვრთნელი შეკრების ორგანიზებით.

თამაში, რაღა თქმა უნდა, "სპარტას" სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს ალექსანდრ შტელინს სასტარტო შემადგენლობის და ტაქტიკის შერჩევაშიც არ გაუმართლა. იგი უფრო მოედნის ნახევრის გამაგრებას შეეცადა, მაგრამ კარგი ფიზიკური მომზადებისა და უკეთესი სისწრაფის ხარჯზე მასპინძლები სწრაფად გადიოდნენ ცენტრს და ქუთათურთა საჯარიმოში ხშირად რიცხობრივ უპირატესობასაც აღწევდნენ. შედეგად, მეოცე წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო. შტელინი მიხვდა შეცდომას და პირველივე ტაიმში კვეტენაძის ნაცვლად ქემოკლიძე გამოუშვა, რამაც "ტორპედოს" დაცვაში თამაშს მეტი დამაჯერებლობა შემატა, მაგრამ ურემი უკვე გადაბრუნებული იყო.

მეორე ტაიმში მასპინძლებს ზედმეტი ძალისხმევით და ოფლისღვრით თავი არ შეუწუხებიათ. კლასში სხვაობა იმდენად აშკარა იყო, რომ "სპარტა" მატჩის ორბურთიანი სხვაობით მოგებაზეც ყაბულს იყო. თითქოს თამაშიც გათანაბრდა და ტორპედოელებმაც მიიტანეს რამდენიმე, ასე თუ ისე სახიფათო, იერიში მეტოქის კართან, მაგრამ რეალურ მომენტამდე საქმე არ მისულა. შეხვედრას, ანგარიშს და "ტორპედოს" ქიმერულ იმედებს საბოლოო წერტილი შეცვლაზე შემოსულმა ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა პოსპეშილმა დაუსვა, რომელმაც 74-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტად დაუხვედრა თავი და კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

"სპარტას" მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად ფორმალური მხარე დარჩა გასაფორმებელი. ჩეხეთის ჩემპიონის ფეხბურთელების მაღალი საშემსრულებლო ოსტატობიდან და ფიზიკური მომზადებიდან გამომდინარე, "სპარტას" არც "გენკის" დამარცხება უნდა გაუჭირდეს და უკვე უშუალოდ ლიგაში არა ერთ სახელოვან გუნდსაც გაუჩენს თავსატეხს.

## ვერონი „მანჩესტერში" რჩება

ბევრი მითქმა-მოთქმა იყო არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონის რომის "ლაციოში" დაბრუნების შესახებ. როგორც ჩანს, ტრანსფერი არ შედგება. ნახევარმცველმა განაცხადა, რომ "მანჩესტერში" რჩება და მოუთმენლად ელის პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყებას (17 აგვისტო).

სავსებით რეალურია, რომ მომავალი სეზონიდან, "მანჩესტერის" შემადგენლობაში, ვერონის გვერდიგვერდ, ამჯერად "ვესტ ჰემის" იტალიელმა ლეგიონერმა პაოლო დი კანიომ ითამაშოს. "საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი გადაყვანა ბატონ ფერგიუსონს სურს. ვფიქრობ, სწორედ ახლა არის კარგი დრო ტრანსფერის განსახორციელებლად, რადგან დი კანიოს კონტრაქტი მალე უმთავრდება და ის თავისუფალი აგენტი გახდება", - განაცხადა ფეხბურთელის მენეჯერმა მატეო როჯიმ.

"მანჩესტერის" ხელმძღვანელობა, დი კანიოს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებს.

## სკანდალისტი იტალიელები

ცოტა ხნის წინ იტალიურ ფეხბურთში აგორებული სკანდალი ისევ გრძელდება. საქმე ისაა, რომ რამდენიმე კლუბი ვერ აკმაყოფილებს იმ ფინანსურ მდგომარეობას, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებადაა საჭირო, რის გამოც კლუბებს ქვედა ლიგებში დაქვეითება ემუქრებათ. საბედნიეროდ, გრანდებმა, "რომამ" და "ლაციომ", ყველა პრობლემა დროულად მოაგვარეს, რასაც ვერ ვიტყვით წინა სეზონში სერია ა-დან გავარდნილ "ფიორენტინაზე".

ფლორენციელთა გარდა, ანალოგიურ სიტუაციაში სერია ბ-ს რამდენიმე კლუბიცაა - "მესინა", "ჯენოა", "ნაპოლი", "პალერმო" და სხვები, მაგრამ მხოლოდ "ფიორენტინა" იმყოფება კრიტიკულ ვითარებაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ კლუბის სავალალო ფინანსური მდგომარეობის მიზეზების დასადგენად ადგილობრივმა პოლიციამ გამოძიებაც კი დაიწყო. გამოსავალი კლუბის მეპატრონის შეცვლასა და ვალების დაფარვაშია, მაგრამ ფლორენციელთა ახლანდელი პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი ვერაფერით ახერხებს მყიდველის პოვნას. თუ მდგომარეობა უახლოესი ორი კვირის განმავლობაში არ გამოსწორდა, კლუბი გაკოტრებულად გამოცხადდება და, უბრალოდ, შეწყვეტს არსებობას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, შესაძლოა, სკანდალად იქცეს, თანაც, ბევრად უფრო ხმაურიანად, ტელეკომპანიებსა და კლუბებს შორის კონფრონტაციაა. ყველამ იცის, რომ კლუბები ტელეკომპანიებისგან საკმაოდ დიდ თანხებს იღებენ მატჩების ჩვენების უფლების მოსაპოვებლად. მოლაპარაკებები მათ შორის სეზონის დაწყებამდე იმართება ხოლმე და, როგორც წესი, დაახლოებით ორ-სამ კვირას გრძელდება. წლეულს კი მოლაპარაკება ჯერ კიდევ მუნდიალის დასრულებამდე დაიწყო, თუმცა, კონსენსუსამდე მხარეები ჯერ ვერ მივიდნენ. ტელეკომპანიები გადასახადის შემცირებას ითხოვენ, რაზეც კლუბები კატეგორიულად არ თანხმდებიან, რადგან შემოსავლის შემცირებამ, შესაძლოა, მთელი საფეხბურთო ბიზნესის მოგებიანობა ეჭვქვეშ დააყენოს.

## ჯორჯ ბესტის დონორი უცნობია

დიმიტრი ობოლაძე

თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდა, "მანჩესტერ-იუნაიტედისა" და ირლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ჯორჯ ბესტი, 10-საათიანი ოპერაციის შემდეგ, სარეაბილიტაციო განყოფილებაშია. 59 წლის ბესტი მძიმე მდგომარეობაშია. "უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჯორჯი ყოველდღე, თანაც, რამდენჯერმე სვამდა. ის უგონოდ თვრებოდა და თითქმის თავი დაიღუპა,"- თქვა ფეხბურთელის მეუღლემ, ალექსმა. ჯორჯ ბესტს ღვიძლი გადაუნერგეს. 10-საათიანი, ურთულესი ოპერაცია ლონდონის მთავარმა ქირურგმა, პროფესორმა როჯერ უილიამსმა გააკეთა. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მან პრესკონფერენცია გამართა. პროფესორმა უპასუხოდ დატოვა ჟურნალისტთა ყველა შეკითხვა, რომელიც დონორის ვინაობას ეხებოდა. "ოპერაცია კარგად ჩატარდა, ყოველგვარი გართულებებისა და პრობლემების გარეშე. ჯორჯი სარეაბილიტაციო განყოფილებაშია. კრიტიკულია შემდეგი 24 საათი. კონკრეტულ პასუხებს სწორედ ამ დროის გასვლის შემდეგ შეიტყობთ". კრიზისული მდგომარეობის გასვლის შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანია 10-დღიანი პერიოდი. სწორედ ამის შემდგომ საბოლოოდ შეიძლება ითქვას, გადარჩება თუ არა ფეხბურთის ლეგენდა. ჯორჯ ბესტი, ბელფასტში, 1946 წელს დაიბადა. მისი საფეხბურთო კარიერის პიკად ინგლისის "მანჩესტერ-იუნაიტედში" გატარებული 10 წელიწადი ითვლება. ბესტმა ამ გუნდში 1963-დან 1973 წლამდე ითამაშა. 1968 წელს კლუბმა და ბესტმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგეს. იმ სეზონში წლის საუკეთესო ფეხბურთელად ირლანდიელი დაასახელეს. ბესტისთვის დამღუპველი გამოდგა ფეხბურთიდან წასვლა. მან, უბრალოდ, არ იცოდა, როგორ უნდა ეცხოვრა სპორტის გარეშე. მოხდა ისე, რომ ლეგენდარულ ფეხბურთელს მხარში არავინ დაუდგა. გაუთავებელი ღრეობების შედეგად ბესტის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. უკანასკნელ ორ დღეში ფეხბურთელმა წონაში საოცრად დაიკლო. საავადმყოფოში მორიგი სტუმრობა კი უილიამსის მიერ ჩატარებული ოპერაციით დასრულდა.



# მობილური ოფისი

## კომუნიკატორი "სიმენს" SX45, ჯიბის კომპიუტერის წინააღმდეგ

**მოდელის ძირითადი მონაცემები:**

პროცესორის სახელწოდება: MIPS
პროცესორის სიხშირე: 150 მგჰც
ბატარეის ტიპი: Li-Ion აკუმულატორი
ეკრანის ტიპი: TFT ფერადი
ფერების რაოდენობა: 65536
კლავიატურის ტიპი: ვირტუალური
მულტიმედიური შესაძლებლობები: აუდიო-ფაილების მოსმენა
დამონტაჟებული პროგრამები: ჯიბის Word, ჯიბის Excel, ჯიბის Outlook, ბლოკნოტი, Pocket Reader, ჯიბის კალკულატორი, ჯიბის Internet Explorer, ActiveSync, საათი, მაღვიძარა, File Explorer, ჯიბის მედია Player, Card Backup Tool.

არც ისე იოლია კარგიდან საუკეთესოს შერჩევა. მითუმეტეს, ამ შემთხვევაში, როდესაც ერთ მხარესაა სუპერთანამედროვე კომუნიკატორი, მეორე მხარეს - ჯიბის პერსონალური კომპიუტერი და მოდემიანი მობილური ტელეფონი ერთად. საჭიროა ვიცოდეთ, რომელზე გვეჭიროს თვალი და რას დავახარჯოთ ჩვენი სოლიდური ფინანსები. საამისოდ, პირველ რიგში, ალბათ, სჯობს გავერკვეთ, თუ რომელი მათგანი ამართლებს ტერმინს - “ოფისი ჯიბეში”.

ამ თემას დასავლეთში უამრავი სტატია მიუძღვნეს. ახალი კომუნიკატორები დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი ადამიანის ყურადღებას იპყრობს, ხოლო, ჯიბის კომპიუტერები, არც ისე დიდი ხანია, ექსტრავაგანტული სათამაშოებიდან ყველასათვის ხელმისაწვდომ და მისაღებ სამუშაო იარაღად იქცა.

კომუნიკატორები მეტად იშვიათად გვხვდება და არა მხოლოდ თბილისში. ეს ახალი, ფართო საზოგადოებისთვის მიუჩვეველი ტექნიკური სიახლეა. შევეცდებით გაგაცნოთ დღეისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი მოდელი, რომელსაც კომპანია "სიმენსი" გვთავაზობს.

ერთ-ერთი პირველი მოწყობილობა, რომელშიც PDA high კლასისა და GSM სტანდარტის მობილური ტელეფონის შესაძლებლობებია გაერთიანებული, სწორედ, "სიმენს" SX45-ია.

შარშან, შემოდგომაზე, ჰანოვერის გამოფენაზე პირველად "სიმენსმა", უფრო სწორედ, მისმა შვილობილმა, IC Mobile-მა წარმოადგინა კომუნიკატორი ვარსკვლავური სახელწოდებით ”ანდრომედა”. ეს მოდელი მართლაც რაღაც კოსმიურს წააგავდა (შედარებაზე, უდავოდ სახელწოდებამაც იმოქმედა). ეს იყო მინი-კომპიუტერი ფერადი დისპლეითა და ფიჭური ტელეფონით. “ანდრომედა” მაშინ მხოლოდ საჩვენებლად გამოიტანეს. მოგვიანებით, მან უცხოპლანეტური სახელწოდება შეიცვალა, "სიმენს მულტიმედია" SX45 იქცა და ამჟამად, ნებისმიერი მსურველი იშოვის მას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც.

"სიმენს" SX45, ფიჭური ტელეფონისა და PDA-ის მორიგი ჰიბრიდია, რომელსაც 32 მეგაბაიტიანი მეხსიერება აქვს. მის სატელეფონო ფუნქციებს რაც შეეხება, "სიმენს მულტიმობაილი" ორ სტანდარტზე, GSM-სა და GPRS-ზე მუშაობს. ასევე, აღჭურვილია WAP ბრაუზერით.

ასაკის მიუხედავად (ერთი წლის), მოდელი ახლაც საკმაოდ აქტიურად იყიდება. საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში ის, რომ მისი მოწყობილობა ისევე იმართება, როგორც ყველასათვის ნაცნობი Windows CE (ვერსია 3:0). ამასთან ერთად, მომხმარებლისთვის მეტად კომფორტული და მოსახერხებელია პროგრამათა მობილური ვერსიების მდიდარი არჩევანი; ხოლო, 150 მეგაჰერცის პროცესორი MIPS R4000, საშუალებას იძლევა დღესაც გაართვას თავი გართულებულ საოპერაციო სისტემას და ბოლოს, 65536 ფერის TFT დისპლეი, რომლის ზომებია 240/320, ამ სამუშაოს მეტად სასიამოვნოს ხდის. "სიმენს"SX45-ის შესაძლებლობაზე ასევე WMA და MP3 ფორმატის აუდიო ფაილების მისაღები ტევადობაც მიუთითებს.

როგორც ხედავთ, ღირსება საკმაოდ ბევრი აქვს ამ მოდელს, თუმცა, ნაკლსაც ვერსად გავექცევით: "სიმენს" SX45 მოდელს უამრავ შესაძლებლობებთან ერთად საკმაოდ სოლიდური გაბარიტებიც აქვს: (134-87-26 მმ), წონა – 303 გრ. მომხმარებელიც, პირველ რიგში, ცხადია, მოუხერხებელ კონსტრუქციას დაიწუნებს. მოდელის ყველაზე დიდი ნაკლი კი ისაა, რომ მისი აკუმულატორი შვიდ საათში იცლება. ვერ ვიტყვით, რომ "სიმენს" SX45 მეტად წარმატებული შენაძენია, მაგრამ თუკი გინდათ შედარებით ხელმისაწვდომ ფასში Windows CE-იანი მოწყობილობა, სხვა არჩევანი, პრინციპში, არც არის.



# ნიკოლსონის დატვირთული განრიგი



ჯეკ ნიკოლსონი თავისი უცნაური გამოხდომებით კვლავაც გაამხიარულებს საზოგადოებას. საქვეყნოდ განთქმული როლების შემდეგ ის კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ხასიათის შექმნას აპირებს. საუბარია Sony Pictures-ის ახალ ფილმზე, რომელსაც ნენსი მეიერსი გადაიღებს. კინოკრიტიკოსები მეიერსი-ნიკოლსონის ტანდემისგან, საბოლოო ჯამში, წარმატებულ სურათს ელიან. მით უფრო, რომ ამ რეჟისორის ნამუშევარს "რა სურთ ქალებს" (ფილმში მთავარ როლს მელ გიბსონი ასრულებს), რამდენიმე ხნის წინ, ჰოლივუდში კარგი კრიტიკა ერგო. Sony Pictures-ის ახალ ფილმში კი ჯეკ ნიკოლსონი ხანშიშესული მამაკაცის როლს შეასრულებს, რომელსაც ცხოვრებაში ნამდვილად გაუმართლა – აქვს მშვენიერი კარიერა და ჰყავს საყვარელი ქალი, რომელიც შვილად უფრო ერგება. სიტუაცია კი მაშინ დაიძაბება, როცა ნიკოლსონის გმირი შეყვარებულის დედას გაიცნობს და მიხვდება, რომ სწორედ ის უყვარს. ამ ფილმის გამოსვლამდე ნიკოლსონის თაყვანისმცემლებს საშუალება ექნებათ, მისი კიდევ ორი ახალი ნამუშევარი იხილონ: საშობაოდ შედგება ალექსანდრ პეინის ფილმის - "შმიდტის შესახებ" - პრემიერა, 2003 წლის ზაფხულში კი გამოვა კომედია Anger Management, რომელშიც ჯეკ ნიკოლსონს პარტნიორობას გაუწევს ახალგაზრდა კომიკოსი მსახიობი ადამ სანდლერი.

## იაპონური კროსვორდი



## კენედის ცენტრის „შესანიშნავი ხუთეული"

კენედის ცენტრის ყოველწლიური დაჯილდოების 25-ე ცერემონიალზე პრიზიორებად გამოაცხადეს ყოფილი "ბითლი" პოლ მაკარტნი და მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი. ცენტრის თავმჯდომარის, ჯეიმს ჯონსონის თქმით, მაკარტნი "ჩვენი ეპოქის ყველაზე გავლენიანი მუსიკოსია", ტეილორი კი – ბრწყინვალე მსახიობი, რომელიც 60 წლის განმავლობაში ჰოლივუდის კერპი იყო. მათთან ერთად, კენედის ცენტრმა მსახიობი ჯეიმს ერლ ჯონსი, მსახიობი და მოცეკვავე ჩიტა რივერა და მეტროპოლიტენ ოპერის დირიჟორი ჯეიმს ლევაინიც დააჯილდოვა. ჯონსონმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ რივერა, რომელმაც სახელი გაითქვა "ვესტ საიდის ისტორიაში" განსახიერებული ანიტას როლით, თეატრის უდიდესი ვარსკვლავია. კენედის ცენტრი კულტურის მოღვაწეებს კულტურის სფეროში გაწეული განსაკუთრებული დამსახურებებისთვის აჯილდოვებს. პრიზიორთა წლევანდელი ხუთეული შეადგინა ძალზე კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელშიც მერილ სტრიპიც შედიოდა. რჩეულებს პრიზებს 8 დეკემბერს გადასცემენ, ცერემონიალზე, რომელსაც პრეზიდენტი ბუში და მისი მეუღლე, სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი და სხვა ცნობილი მოღვაწეები დაესწრებიან.

## ჩინელები აინშტაინის გარეშე დარჩნენ

ალბერტ აინშტაინის გამოფენა, რომელიც წარმატებით მოგზაურობს აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში, ოფიციალურმა პეკინმა არ მიიღო. ჩინეთის მთავრობის განმარტებით, მათ ეს გადაწყვეტილება მეცნიერის ებრაული წარმომავლობის გამო მიიღეს. ჩინეთი ხომ ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს უჭერს მხარს და ბუნებრივია, ყოველგვარი ებრაული გამოვლინების წინააღმდეგია. ოფიციალურმა პეკინმა ღიად მოსთხოვა ისრაელის მთავრობას, რომ გამოფენიდან ამოეღოთ ის ექსპონატები, რომლებიც აინშტაინის ებრაულ ფესვებზე მიანიშნებს. თუმცა, ცხადია, გამოფენის ორგანიზატორებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს და ჩინელები საერთოდაც აინშტაინის გარეშე დატოვეს. ექსპონატებს, რომლებიც ახლა ახალ ზელანდიაშია გამოფენილი, ტაივანში გაგზავნიან. გამოფენა შეიცავს ისრაელში ებრაული უნივერსიტეტის არქივებიდან ამოღებულ დოკუმენტებს, რომელთა ავტორიც ალბერტ აინშტაინი გახლავთ.

## ვარსკვლავების ახალი გასართობი

მას შემდეგ, რაც ნოთინგ ჰილზზე გაჩნდა მაღაზია ძალიან მარტივი სახელით – The Store (მაღაზია), პოდიუმის ტანწერწეტა და გამხდარი მოდელები წონის შენარჩუნებაზე აღარ ზრუნავენ. უკვე მის მუდმივ კლიენტურად იქცნენ სიეიდ ფროსტი, კეიტ მოსი და სტელა მაკარტნიც. ამ ორსართულიან სასურსათო მაღაზიას, რომელშიც უგემრიელესი სასუსნავი იყიდება, წარმოშობით ბერძენი ქეთრინ ჰადოულისი და მისი საქმრო ხორხე ფერნანდესი ფლობენ. The Store უკვე გახდა ნოთინგ ჰილზის მთავარი მშვენება და ყველაზე პრესტიჟული ადგილი. სტელა მაკარტნი, რომელიც იქვე ცხოვრობს, თავის ვეგეტარიანულ პროდუქტს სწორედ The Store-ში ყიდულობს, მსახიობი ჯუდ ლოუ კი მაღაზიის მშვენივრად მოწყობილ, მყუდრო კაფეში რძიან ყავას სვამს. როგორც ლონდონელი ვარსკვლავები ამტკიცებენ, ამ კაფეში საუკეთესო ყავა იყიდება. "აქაურობა ისე მოვაწყვეთ, როგორც ოჯახური სამზარეულო. ეს მაღაზიაში მყუდროებას ამკვიდრებს და კლიენტსა და გამყიდველებს შორის უშუალო და მეგობრული ურთიერთობა მყარდება". ეს სულისკვეთება კი ლონდონის კოლორიტს – ნოთინგ ჰილზს ნამდვილად უხდება.

## ყველაზე მძიმეთა ორმოცეული

ჟურნალმა Spin მძიმე როკის 40 საუკეთესო წარმომადგენლის სია გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე, როგორც ყველა დროის საუკეთესო ალბომი, ჯგუფის Guns N' Roses 1987 წლის დებიუტი Apetite For Destruction გავიდა. ამ ნამუშევარმა თვით Led Zeppelin-ის ალბომსაც (რომელიც Led Zeppelin IV-ის და ხან Zoso-ს სახელითაც არის ცნობილი) გაუსწრო. ეს უკანასკნელი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე პოზიცია კი Black Sabbath-ის Paranoid-მა დაიკავა. მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს Metallica-ს Master of Puppets-მა (1986 წ.) და AC/DC-ის Back in Black-მა (1980 წ.). Guns N' Roses-ის გამარჯვებული ალბომის, რომელშიც ისეთი ცნობილი ჰიტები შედის, როგორებიცაა: Welcome to the Jungle და Sweet Child O'Mine, აშშ-ში 15 მილიონი ეგზემპლიარი გაიყიდა.

## TV პროგრამა 31 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "კარგი, ცუდი, ბოროტი". მთ. როლებში კლინტ ისტვუდი, ილაი უოლეკი

### პირველი არხი

08.00 ბუნების ხიბლი
08.25 სერიალი "კობრა"
09.20 მულტსერიალი "საგრალონი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.00, 15.00, 20.00, 00.25 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 სერიალი "მშვიდობით მეოცე საუკუნევ"
14.05 ქიმერიონი
14.40 "ზუმი"
15.15 მხ.ფ. "ჩალის ქუდი"
17.20 "საკალათბურთო მიმოხილვა"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ისტორიანი
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 თეთრი ფარდა
22.15 მხ. ფილმი "სიჩუმის ზღვარს მიღმა"
00.05 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.35 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.55 სერიალი "კობრა"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 შვიდეული
20.30 დოკ.ფილმი "მაღალი მოდის სამყარო"
21.45 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "პროვინციული რომანი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კურსები კომპიუტერის შემსწავლელთათვის
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 "იდენ ტვ"
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 ოაზისი
00.15 მხ.ფ. "პორნო"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "სახომალდო სიახლენი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "პინერო"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ამელი"
22.30 მხ. ფილმი "დაგონი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "ოცეულები" განმეორებით
12.30 "მო" განმეორებით
14.30 მხ.ფილმი
16.10 მუსიკა
17.35 "სწ.მედია" მხ.ფ. "მაიამის რაფსოდია"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 ევრო-ქართული ათეული
23.00 "სოლო"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "იქ, სადაც მდინარე მიედინება".
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "გამანადგურებელი". მთ. როლებში ჯ. ენდრიუსი, აის ტი
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ "სტალკერი"
14.40 მხ.ფ "უკეთეს ვერ ინატრებ"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "სულელები"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "იღბლიანი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-17 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-17 სერია
10.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა"
10.30 მხ. ფილმი "მედისონი, გარეუბნის ხიდები"
12.45, 13.55, 18.45, 20.20, 22.05, 00.20 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი შიგნიდან" 1-ლი ნაწილი
14.00, 14.45, 19.00, 21.10 დისქავერი
15.40 მხ. ფილმი "ქვის რომანი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-18 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-18 სერია
19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
22.15 მხ. ფილმი "ლარა კროფტი აკლდამების მძარცველი"
00.40 მხ.ფილმი "თავზეხელაღებული მძღოლი"

### მეცხრე არხი

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "მამილო აფიშიდან"
11.00 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ელეგია"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ვესთერნი "მისურის ხვეულებიდან"
14.15 კომედია "რობინ ჰუდი: მამაკაცები ტრიკოთი"
16.15 მულტფილმი "სათამაშოების მაღაზია"
17.00 მხატვრული ფილმი "ბენ-ჰური" 1 ნაწილი
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "Пресс-папье"
19.40 დრამა "ყველაფერი დედაჩემის შესახებ"
21.15 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "სამოქალაქო სარჩელი"
03.30 მელოდრამა "ლედის პორტრეტი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.45 მუსიკალური გიორითმი
11.10 მულტსერიალი
11.25 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
12.00 მუსიკალური ტაიმაუტი
12.20 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 "სახლიდან გაუსვლელად"
13.35 ამინდის პროგნოზი
13.40 ჰოროსკოპი
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "პაემანი"
20.30 სპორტული პროგრამა – "კასკადიორები"
20.50 "სახლიდან გაუსვლელად"
21.20 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.50 მოკლედ... სპორტი
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "კინოკლუბი" – მხ.ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"
00.30 _მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 მუსიკალური გიორითმი
01.35 მხ.ფ. ჟანრებში: – "უკანასკნელი დონი" – 1 სერია.

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.10 КОАПП
12.35 Дисней-клуб: "Переменка"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 Максим Галкин, Михаил Задорнов в программе "Евгений Петросян приглашает…"
16.20 Чемпионат Европы по водным видам спорта. Финалы.
17.00 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.15 х.ф. "ЛИКВИДАТОР"
22.00 Время.
22.35 Сериал "СКАРЛЕТТ"
23.35, 01.15 Фестиваль в Юрмале. первый тур.
01.00 Ночное "Время"
01.55 х.ф. "ЧЕТВЕРГ"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
07.10 "Православный календарь"
07.15, 08.30, 09.20 Семейные новости
07.25, 08.20, 09.15 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40, 19.05 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 "КАМЕНСКАЯ". Фильм первый "ИГРА НА ЧУЖОМ ПОЛЕ" часть первая
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОЙНТ"
15.25 Лучшие матчи чемпионата мира по футболу
17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "Старая квартира"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "КАМЕНСКАЯ". Фильм первый "ИГРА НА ЧУЖОМ ПОЛЕ" часть втарая
23.00 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ДЕЛО О ПРОПАВШЕМ ЗАВЕЩАНИИ" 00.00 Вести - Подробности 00.30 х.ф. "ПОЛНОЧЬ В САДУ ДОБРА И ЗЛА"

### НТВ

09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ПОД ПОДАЗРЕНИЕМ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня
11.25 Чистосердечное признание
11.50 "Шоу Елены Степаненко"
12.45 Вкусные истории
13.20, 19.40 Криминал
13.40 "КУРОРТНЫЙ РОМАН"
15.05 "Принцип "Домино"
16.25 "Криминалньная Россия"
17.30, 21.45 х.ф. "ЗОЛОТО ЮГРЫ"
18.35 х.ф. "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ"
20.35, 00.30 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
23.35 Совершенно секретно
01.25 "О, счастливчик!"
02.00 х.ф. "ЖИЗНЬ ПОСЛЕ ЖИЗНИ"
02.40 Кома

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.